

1955

მ. მ. მ.

05/05



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 1 თებერვალი 1955

619

213



თავაზ ჭიკაძე

ახალი
ხედი

ახალ დღეს გზაზე ვუხვდები ღმერთს,
 ვუხვდები სიბრძნის ალარ მცალია,
 — მზეო ახლო,
 მომეცი ხელი,
 მე შენთან ყოფნა მინდა ძალიან.
 მომეცი ხელი, ახლო წელი,
 ახლო კვირტო,
 ტალღავ ახლო,
 ქვეყანას ვეტყვი შენს სადღეგრძელოს
 და მინდა შენი მოსვლა ვახარო.
 დე, მზით დაიწყოს დილა იანვრის,
 ივრძნონ გულეზმა სიტკბო უღრვი,
 რომ შემოგვესმას შრიალ-შრიალი
 ჯერ არ ნახული გაზაფხულების...

ახალწლის დილას, მე და შენ ერთად,
 მუსლამდე თოვლში გზებზე ვიარეთ,
 ქათქათა ფიფქი სიხარულს გვფენდა,
 უკან დავტოვეთ ბევრი მდინარე.
 და მაღალ სახლთან შევჩერდით ბოლოს —
 მხრებით რომ შეცას სურს გაეტოლოს.
 ჩვენ დიდმა სიბოძო თუ მიგვიზიდა
 და გაზაფხულის კარებთან ვდგავართ,
 ვის დაუნთია ცეცხლი გიზგიზა,
 თუ სული თვითონ ცეცხლია თავად.
 ვფიქრობთ —
 მთაა და ლაქვარდებს ასწვდა,
 მისკენ ჭაბუკებს ღმერთი უვლიათ
 და მის ელვარე მწვერვალზე ასვლა
 ერთი დიადი სიხარულია.
 და გვიხარია — ახალწლის კართან
 ნიშანსვეტად რომ შემოგვეგება,
 რა გითხრა ახლა სიმღერის გარდა,
 ნანატრ დღეების ბჭენი მეღება.
 მივდივართ მისკენ, ფიქრში გართული,
 და ვგრძნობთ თოვალში უჩვეულ სიბოძს,
 ავყვებით მაღლა ნათელ სართულებს
 და სიჭაბუკეც მაღლდება თითქოს...

ახალი
ხედი



მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისი პეტრე — ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.
 მესამე გვერდზე: რუსთავი. მარტენის ღ ფოტო ი. მღებრიშვილისა.
 მეოთხე გვერდზე: თბილისი. მასარაძის სა სათბურში. — ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.

გინულითაჲ 58

საბჭოთა მხედრების გეოგრაფიული საკავშირო ყრილობა

1954 წლის 15-დან 26 დეკემბრამდე მიმდინარეობდა საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობას ესწრებოდნენ და მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მწერლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან: საბჭოთა კავშირის მეგობრები დემოკრატიული ქვეყნებიდან, პროგრესული მწერლები კაპიტალისტური ქვეყნებიდან.

ყრილობამ მოისმინა მოხსენებები: 1. „საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობა და ამოცანები“ (მომხს. ა. სურკოვი), თანამოხსენებები:

- ა) „საბჭოთა მხატვრული პროზა“ (კ. სიმონოვი), ბ) „საბჭოთა პოეზია“ (ს. ვურგუნი), გ) „საბჭოთა დრამატურგია“ (ა. კორნეიჩუკი), დ) „საბჭოთა კინოდრამატურგია“ (ს. ვერასიმოვი), ე) „საბჭოთა ლიტერატურა ბავშვებისა და ჭაბუკებისათვის“ (ბ. პოლევი), ვ) „საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი პრობლემები“ (ბ. რიურიკოვი), ზ) „სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის მხატვრული თარგმანები“ (პ. ანტოკოლსკი, მ. აუეზოვი, მ. რილსკი);
- 2) მოხსენება „მსოფლიოს თანამედროვე პროგრესული ლიტერატურა“ (ნ. ტიხონოვი);
- 3) სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სარევიზიო კომისიის მოხსენება (ი. ლიბედინსკი);
- 4) საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის კომისიის ცნობა „საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების ცვლილებათა შესახებ“ (ლ. ლეონოვი).

ყრილობამ აღფრთოვანებით მოისმინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

ყრილობამ ცხადპყო საბჭოთა ლიტერატურის საერთო აღმავლობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ზრდა და დავაჟაკება განვლილი ოცი წლის მანძილზე, პარტიისა და მთელი საბჭოთა

ხალხის მუდმივი ზრუნვის ცხოველყოფელი გავლენა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე.

დიდია საბჭოთა ლიტერატურის როლი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ განმტკიცებაში, კომუნისტური აზროვნებისა და ბრძოლისათვის.

გაიზარდა საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ავტორიტეტი, გაფართოვდა მის მკითხველთა წრე ჩვენი სამშობლოს გარეთაც, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

საბჭოთა ლიტერატურამ მოიპოვა საზღვარგარეთ მილიონობით მკითხველთა აღიარება, რადგან იგი ქადაგებს ჰუმანიზმს, ხალხთა შორის მშვიდობას და მეგობრობას.

საბჭოთა მწერლები, განაგრძობენ რა რუსული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, შემოქმედებითად ავითარებენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი.


საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა გადაიქცა დიდ მოვლენად ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ყრილობის მუშაობისადმი შეუწულებელ ინტერესს იჩენდნენ მთელი ჩვენი სამშობლოს მშრომელები.

ყრილობამ მისალმებით მიმართა საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი ზრდისა და განვითარების გზის მაჩვენებელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ყრილობამ აირჩია საბჭოთა მწერლების კავშირის ახალი ხელმძღვანელობა.

ფოტოზე: მოსკოვის პიონერები ესალმებიან მწერალთა ყრილობას.



კომუნისტები, წინ!



ჩები მწერალი მარია მაიეროვა და ჩინელი მწერლები ჩენ ბინ-ი და ლინ ლინი.



ი. აბაშიძე, ვ. ლაცისი და ს. მიხალკოვი.

უორეი ამაღუ (ბრაზილია), უან ლაფიტა (საფრანგეთი) და ანა ზეგერსი (გერ).



მომისმენია, ვიცი,
ერთი ბრძანება არის,
მისი სიტყვები მხოლოდ
მრისხანე ცეცხლის ხაზზე,
რომ წამოშალოს ბრძოლად
და წაიყვანოს ჯარი
(ისიც ყოველთვის არა)
მეთაურს ნებას აძლევს.

ბრძოლის წესდებას ვიცნობ,
ესწავლობდი დიდი ხანი,
ჯარისკაცული ტვირთის
ყველა სიმძიმეს ავწევ.
დღე-ღამე წესდების კითხვით
გაღამილვია თვალი,
მაგრამ მე სიტყვებს მასში
არ შევხვედრდებიერ ასეთს.

ჰა, ცხრაას ოცი წელი,
დამფრთხალ ცხენების შფოთი...
ემელონების რიგი...
ქვეყანა ტიფით სავსე...
ინტერვენტული ტყვია
პირდაპირ შუბლში მოდის...
ვერავენ დადგეს, ვერა,
იქ, ბრძოლის წინა ხაზზე.

მავთულხლართებზე ყრიან,
ყრიან ფარაჯებს უმაღ,
ყუმბარა სკდება ზედ,
ტყვიების ცეცხლი წვიმს
და კომისარს ამბობს,
ძლივს გასაგონად,
ჩუმად:
— კომუნისტებო, წინ!
კომუნისტებო, წინ!

მოისმენ ცეცხლის ხაზზე
ხანდახან სიტყვებს ამგვარს,
ომის წესდება ვფურცლავ
და იგი ვერსად ვპოვე.
იგი სხვა არის,
სულ სხვა,
დგას წესდებაზე მაღლა,
მისი წარმოთქმის ნება
არ ენიჭება ყოველს...

დროშები ვთვალეთ ბევრი
დამარცხებული ქვეყნის
და კაშხალების წყება
მდინარეებზე დავდგით,
ვტეხეთ ყამირი მყარი
კოჭრიან ხელით გლეხის,
ვაგეთ ქარხნების რიგი
ჩვენი მუშური საქმით.

ერთხელ გაგლიჯა წყალმა
ერთი კაშხალი,
ალბათ
ვოლხოვზე ანდა დნებრზე,
მანსოვს, ეს მოხდა წინათ,
მოწინავენი წყალში
ჩავიდნენ დაბლა,
დაბლა,
იყო დეკემბრის დილა
და საშინელი ყინვა.

იხმარეს ყველა ხერხი,
ვერ შეაჩერეს წყალი,
მაგრამ სიცოცხლის წილ,
დიდი მომავლის წილ
გაისმა ინჟინერის
ხმა მშვიდზე მშვიდი,
წყნარი:
— კომუნისტებო, წინ!
კომუნისტებო, წინ!

ზაფხულის მზიან დილით
ყუმბარა გრგვინვით გასკდა
და გუშაგები ლვოვთან
თხრილებში ჩაწვენ წამსვე.
მესერშიტიები შავად,
შავად მოედგნენ ცასა...
გაძნელდა ძლიერ ყოფნა
იქ, ბრძოლის წინა ხაზზე.

ბრესტიდან მოსკოვამდე
წვავდნენ, ანგრევდნენ ხიდებს,
ვერ უსწორებდნენ თვალებს
ჯარისკაცები ლტოლვილთ.
თითქოს ქვეყანას ცეცხლით
მიწის პირიდან ჰკვიდნენ
და ასწორებდნენ მთა-ბარს
ტანკების მიძიმე ტორით...

და სტალინგრადთან უნდა
გადაწყდეს ბედი ომის,
ბრძოლის გრიგალი ქუხს,
ტყვიების ცეცხლი წვიმს
და მეთაური ამბობს
წყნარად,
ვოლგისპირს მდგომი:
— კომუნისტებო, წინ!
კომუნისტებო, წინ!

ჩვენ მიმოვფლეთეთ ბრძოლით
ფაშისტთა დროშა ყველა
და ჩვენს გვარდიულ აღმებს
ვეამბორებით ახლა.
მავზოლეუმთან ზეცა
ცისარტყელებით ელავს
აღმები იწვევს მაღლა,
უფრო და უფრო მაღლა.

წვიმა, ქარი და თოვლი
არის ღრუბლების იქით,
ვარვარა რკინის სუნი
ასდის ამ მიწას ისევ.
გრძელდება საუკუნე,
დღე ახლოვდება იგი...
კრემლის კოშკიდან მოჩანს
თვალუწვდენელი სივრცე.

სიცოცხლისათვის,
ყველგან,
დიდი მომავლის გზაზე,
იქ, სადაც შრომა დულს,
ან ტყვიის ცეცხლი წვიმს,
საუკუნეთა შორის,
მარად,
ბოლომდის ასე:
— კომუნისტებო, წინ!
კომუნისტებო, წინ!

თარგმნა არჩილ სულაიაურმა



ქონინის რაიონის მკვიდრნი

ა. მარიამიძე


ფოტო ო. თურქიანი



თავისუფალ დროს გიორგი ანთაძე კითხულობს ახალ წიგნებს, ხან რადიოს უსმენს...

საამქროს. ხუთ საათზე მოვიდა, ახლა ღამის ორი საათია, მოსწრებს დასვენებას. — ძია გიორგი, თუ შეიძლება ცოტა ხნით მობრძანდით, — მოესმა უეცრად მოხუცს და ფიქრებიდან გამოერკვა. დაზგასთან შეჯგუფებული ახალგაზრდები სთხოვდნენ, მისი შევირდები. დაზგა გაჩერებულიყო და ოსტატის დახმარებას საჭიროებდნენ. მივიდა, დაზგა აამუშავა. დაემშვიდობა შევირდებს... ამას წინათ, გიორგი ანთაძემ, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსმა ოსტატმა, ახალი რაციონალური წინადადება შეიტანა. წინადადება ეხებოდა ორთქლმავლის ერთი დეტალის გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ქარხანა საგრძნობ ეკონომიას გასწევდა. სწორედ ერთ-ერთმა ამ შევირდთაგანმა ჰკითხა მაშინ: „ძია გიორგი, რამდენს ელოდებით პრემიას“. იწყინა მოხუცმა: „რაციონალურ წინადადებაზე ფულს როგორ ავიღებ, მე საბჭოთა მოქალაქე ვარ, ვალდებული ვარ ჩემი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს კეთილდღეობას მოვახმარო. ფული ავიღო? როგორ გეკადრება, ყმაწვილო, ხელფასს ხომ ვიღებ, პენსიას ვიღებ, შრომითი დამსახურებისთვის ცალკე მაძლევენ, არა, ეგ აღარ მკითხო მეორედ. მთელი ჩვენი შესაძლებლობა უნდა გამოვიჩინოთ, ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ... მერე რვასათიან სამუშაო დღეს ექვსზე დავიყვანო, ეს ჩვენს მუშაობაზე დამოკიდებული...“

და გიორგი ანთაძეს გაახსენდა ძველი დრო: ორმოცდაათი წლის წინათ ამავე ქარხანაში, ამავე საამქროში მუშაობდა. დღე-ღამის ორ მესამედს აქ ატარებდა. სხვა დრო იყო. მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება, სამუშაო დროის შემცირება არ იყო დამოკიდებული მათ მუყაით და ენერგიულ შრომაზე. ცხოვრების აუტანელი პირობები უფრო და უფრო უჭერდა მარწუხებს მუშა ხალხს. ახსოვს გიორგის თბილისის რკინიგზელების პირველი გაფიცვა, ახსოვს გაფიცვის ორგანიზატორებიც, ახსოვს მისიზა მლაშე ტბის რაიონში, მაშინ პირველად ნახა წითელი დროშა. აი, რა ცხოვრება მოიტანა იმ დროშამ, აი, როგორ გააბედნიერა ხალხი... ამ ქარხანაში მუშაობდა ჩოდრიშვილი, აი, იმ დაზგაზე მუშაობდა კალინინი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ საამქროში კიდევ ერთხელ ნახა სტალინი...



...ხან ნარდს ეთამაშებდა თავის შვილს.

გიორგიმ საათს დახედა. სამის ნახევარი იყო. გარეთ გამოვიდა და იმ ქუჩას გაჰყვა, რომელზეც ქარხნის კლუბია წამომართული. საბჭოს ქუჩაზე გავიდა. ქვევით, ავტალისკენ ლენინის რაიონის აღმას-

კომის შენობა მოჩანდა, ელნათურებით გაჩირადდნებული, იმას იქით ახალი საცხოვრებელი სახლების, ახალი მაღაზიებისა და ქარხნების სილუეტები ჩანდა ელექტრონის შუქზე. იანვრის ცივი, სუსხიანი ღამე იყო. გიორგის კი ახლა ძველი ცხოვრების სუსხი და სიბნელე აგონდებოდა. ერთი წუთით თითქოს გაქრა ახალი სახლების, მაღაზიების, ქარხანათა სილუეტები, თითქოს გადაიწვა ქუჩის ლამპიონები და გიორგის თვალწინ ჩალამებული, მოტივებული ველი გადაიშალა. აქ, ამ კლუბის იქით ძველად ერთი შენობაც არ იდგა. ქარისა და ნიაღვრების სათარეშოდ დაეთმო ბუნებას ეს მიდამოები. თვითონ გიორგი ნახევრადღანგრეულ ქოხში ათევედა ღამეებს. საბნის ნახევარს ლეიზად იგებდა,



შვილიშვილების ზრუნვის შედეგად გიორგი ყოველთვის სუფთად და კოხტადაა გამოწყობილი.

მეორე ნახევარს ზევიდან იხურავდა. მერე იმავე ქოხში ინახავდა იარაღს, იმავე ქოხში შემოჰყავდა საიდუმლო კრებების მონაწილე რევოლუციონერები. ასეთი ქოხები კი მიყრუებულ

— თქვენა ხართ ალექსი ზაკომოდინი?



ნაძალადევი ბერი იყო. პირველად იქ ესმოდათ მუშებს ლენინის სახელი, პირველად იქ კითხულობდნენ ლენინურ „ისკრას“. იმ ქოხებში ისახებოდა ამ ფართო ქუჩების, ამ მრავალსართულიანი სახლების, ამ ქარხნების აშენების გეგმები...

გიორგიმ თვალები დაახამხამა: კაშკაშებდა საბჭოს ქუჩა, ყველაზე გრძელი ქუჩა თბილისში, ამაყად წამოშართულიყო ლენინის რაიონის აღმასკომის შენობა, შორს მოჩანდა აბრეშუმ-საქსოვი კომბინატისა და პლასტმასის ქარხნის სილუეტები. გიორგის ტრამეის ზარის ხმა მოესმა. დააყურა. მოეჩვენა თურმე. ფეხით წავა სახლისკენ. არც ისე მოხუცია. 75 წლისა მხოლოდ. გიორგის კბილა არაფინა ქარხანაში. ძველი ამხანაგებიდანაც აღარავინ დარჩა. თუმცა, ამას წინათ, როდესაც ნახიმოვის სასწავლებლის აღსაზრდელების წინაშე მოგონებებით გამოვიდა, ვიღაც ოფიცერმა უთხრა, რომ 26 კომისრიის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ძველი რკინიგზელი ზაკომოლდინი მუშაობსო. ალექსი ზაკომოლდინი — ძველი რევოლუციონერი, გიორგი ანთაძის მეგობარი იყო, ერთად მუშაობდნენ რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. „წავალ, ხვალე წავალ, ორმოცი წელია, აღარ გვინახავს ერთმანეთი“. გადაწყვიტა გიორგიმ.



— გახსოვს რა დაზგებზე ვმუშაობდით ძველად?

- თქვენა ხართ ალექსი ზაკომოლდინი?
- დიახ, რაშია საქმე?
- ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილხარ.
- ბოდიში, თქვენ ვინ ბრძანდებით?
- მე ანთაძე ვარ, გიორგი.

— ანთაძე? საკვირველია, — მოხუცები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ძველი მეგობრები 26 კომისრიის ქარხნის ეზოში შეხვდნენ ერთმანეთს. ძველი რევოლუციონერები, ძველი კომუნისტები, მრავალჯერ დაპატიმრებულნი და დევნილნი ახლა ილიმებოდნენ, უღიმოდნენ ამ ნათელ და მზიან დღეს, ამ ბედნიერ წუთს და იმ წუთებსაც, როცა ამ ბედნიერების მოსაპოვებლად იღწვოდნენ და იბრძოდნენ. დიდხანს ილაპარაკეს მოხუცებმა. მოიკითხეს ძველი ნაცნობები. ზოგი გარდაცვლილი აღმოჩნდა, ზოგი სხვაგან წასული. ალექსი ზაკომოლდინმა, მექანიკური საამქროს უფროსმა ოსტატმა, ქარხანა დაათვალიერებინა მეგობარს, „გახსოვს ნაძალადევის ბინური შუქები?“ ამბობდა ალექსი. „გახსოვს რა დაზგებზე ვმუშაობდით?“ ეუბნებოდა გიორგი. „მიხარია, ისევე ამ რაიონში რომ ვცხოვრობ და ვმუშაობ, ცოცხალი არსება მგონია, ჩემს ხელში გაიზარდა თითქოს“ აგრძელეს ზაკომოლდინი. „სახელიც ღირსეული შევარქვით, ლენინის სახელი“ — უბასუხებს ანთაძე.

— მე მონტინის ქუჩაზე ვცხოვრობ, ათ ნომერში, — მისამართს აძლევს ალექსი.

— მე ზაქარაძის ოცდარვაში, შემოიარე — ეუბნება გიორგი და მეგობარს ემშვიდობება.

ძველი რევოლუციონერები მონტინიც და ზაქარაძეც მათი მეგობრები იყვნენ, ისინიც იმავე ქარხანაში მუშაობდნენ, მაგრამ მსხვერპლად შეეწირნენ რევოლუციას. ვერ მოესწრნენ ამ ბედნიერ დღეებს, ვერ ნახეს მოწაფეებისა და სტუდენტების, ბიონერებისა და კომკავშირლების ჭივილ-ხვილით გაცოცხლებული ქუჩები, საბავშვო ბავებნი და სასპორტო მოედნები, კულტურის პარკები და კეთილმოწყობილი პოლიკლინიკები, მათ არ სძენიათ ის განსაკუთრებული მხიარულება, ის განსაკუთრებული სიცილი, რომელიც ასე დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანებისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მათ არასოდეს უნახავთ ისეთი ბედნიერი, ცხოვრებით კმაყოფილი მოხუცები, როგორც გიორგი ანთაძე და ალექსი ზაკომოლდინია.

მეგობრები ისევე ქარხნის ეზოში გამოდიან. ცოტა ხანს კიდევ ბაასობენ.

თურქულთი მარადოქსები

მოთარ ბიზინიოვილი

ულუხის მოედანზე, ანკარის მუნიციპალიტეტის წინ, აღმოსავლეთიდან მონაბერი ქარი ჯერ კიდევ შეუფოთლავ ხის კენწეროებს არხვედა. მარტის ქარი ანკარაში ცივია და ნესტიანი, მითუმეტეს, წვიმიან დღეს. ბევრს უნდოდა მარტის ამ დილით თავი აეცდინა ქარისათვისაც და წვიმისათვისაც, მაგრამ ულუხის მოედანზე, ტაქსის გაჩერებასთან ავტომანქანას ამაოდ ელოდებოდნენ: იმ დღეს დაიწყო ანკარაში ტაქსის შოფრების გაფიცვა.

ათეული წლების მანძილზე ქემალისტები ამტკიცებდნენ, რომ თურქეთში არ არსებობს არც მუშათა და არც აგრარული საკითხები, რომ თურქეთში არ არის კლასები და ამიტომ არც კლასობრივი ბრძოლა შეიძლება იყოს. ამიტომ, ჯერ კიდევ ამ ოცდაათიწლიან წლის წინათ, აკრძალეს მათ პროფკავშირები. უფრო სწორად რომ ვთქვათ, შექმნეს სახელმწიფო პროფკავშირები, რომელთაც სათავეში პოლიცია ჩაუყენეს, ხოლო ნამდვილი მუშათა პროფკავშირები კანონგარეშე გამოაცხადეს.

მაგრამ მიდიოდა დრო, იცვლებოდნენ პრეზიდენტები და მინისტრები, სახელმწიფო პროფკავშირებმა ვერ შეაკვეს მშრომელი მასების ბრძოლა თავისი უფლებებისათვის. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც თურქეთში ცხოვრების პირობები მკვეთრად გაუარესდა. თურქეთში არ არსებობდა კანონი, რომელიც შეზღუდვდა მრეწველების თვითნებობას მუშების მიმართ, მშრომელთა უკმაყოფილება თურქეთის მთავრობისათვის კატასტროფულ მასშტაბებს იღებდა. ამიტომ დემოკრატიული პარტიის მთავრობამ, რომელმაც სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მთავრობა შესცვალა, მიმართა ფართო დაპირებებს. ამ დაპირებათა შორის დიდი ადგილი ეკავა „შრომის კანონს“, რომლის გამოცემასაც პირველად მთავრობა მშრომლებს. თუმცა რა ფასი აქვს თურქეთში მთავრობის დაპირებებს. აკი დაპირდა ისმეთ ინენის მთავრობა მშრომლებს მიწას და ცხოვრების პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას, უმუშევრობის მოსპობას! როდის იყო, რომ თურქეთში დაპირებანი სრულდებოდა?! ამ ტრადიციისთვის ღალატს არც პრეზიდენტი ჯეალალ ბაიარი და არც პრემიერი აღნან მენდერესი აპირებდნენ. „შრომის კანონის“ შემუშავება დაევალია შრომის სამინისტროს, სამინისტროში კი დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეემუშავებინათ ეს კანონი ისე, რომ ის შრომისაც უფოფიყო და ამავე დროს შრომასაც არ შეხებოდა. სანამ გაზეთები თურქეთის მოსახლეობას აუწყებდნენ, რომ კანონი მუშავდება, მუშამოსამსახურებმა, რომლებმაც კარგად იცოდნენ რას ნიშნავდა მთავრობის დაპირება, გადაწყვიტეს თავისით ემოქმედათ. თურქეთში დაიწყო გაფიცვები, რომლებიც მთავრობის მიერ არც დაგეგმილი უფოფილა და არც გათვალისწინებული.

ტაქსის შოფრების გაფიცვამ, რომელიც მხოლოდ 10 საათს გრძელდებოდა, დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე, შეაშფოთა მენდერესის მთავრობა. გაფიცული შოფრების უმრავლესობა შეგროვდა ულუხის მოედანზე, ათათურქის ძეგლთან. გაფიცულთა გამოჩენასთან ერთად მოედანი აივსო უანდარმებით, ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელებით. დაიწყო დაპატიმრებანი, გაფიცული შოფრების საქმეს ხელი მოჰკიდა ანკარის რესპუბლიკურმა პროკურორმა ჰაფიზ იამანოღლუმ და მისმა თანაშემწემ კადრი კარაფკიოღლუმ. პირველსავე დღეს სასამართლოს გადასცეს 50 გაფიცული, თურქეთის ოფიციალური გაზეთი „ზაფერი“ აღშფოთებით წერდა ამ გაფიცვის შესახებ, ეს უკანონო ამბოხებააო. „ჩვენთან საკმაოდ ბევრი კანონი არსებობს“ იმის ასაკრძალავად, რაც სოციალურ საშიშროებას წარმოადგენს“ ასცვიდა წერილის ავტორი.

გაფიცვის დღეს, საღამოთი, ანკარის სახალხო სახლში შედგა გაფიცულთა კრება. მთავრობამ, მართალია კრების ნება დართო გაფიცულებს, მაგრამ კრებაზე დასასწრებად გაგზავნა ფორმში გამოწყობილი 100 პოლიციელი, ხოლო

უბანში, გალათაში. ამ პარტიას ყავს წვევრები, ცენტრალური კომიტეტი და აქვს თავისი პროგრამა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ წვევრების მთელი რაოდენობა განისაზღვრება ერთი კაცით, რომელიც არის ამავე დროს ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი თავმჯდომარე. პარტიის პროგრამა მდგომარეობს შემდეგში: „ვისაც ჩვენი უბანი გულწრფელად არ უყვარს, აქ ნუ იცხოვრებს“. ამ „პარტიის“ ცენტრალური კომიტეტს უკავია ერთადერთი ოთახი, რომელიც ამავე დროს არის პარტიის თავმჯდომარის საცხოვრებელი ბინა. იქ ძლივს ეტევა ერთი ძველი საწოლი ტახტი და პატარა სასადილო მაგიდა, რომელიც ამავე დროს შეთავსებული საწერი მაგიდაცაა.

ასე დაიწყო თურქეთში საქმეების მოწესრიგება. ეს შეეხო არა მარტო პროფკავშირებს, პარტიებს, საარჩევნო კომპანიებს, არამედ ფილოსოფიასაც. არის თურქეთში ფილოსოფოსი პეიამი საფა, რომელიც ანკარის უნივერსიტეტში ფილოსოფიის კურსს კითხულობს. ახლა მან გადაწყვიტა შექმნას ფილოსოფიაში ახალი სისტემა და დააყენოს კაცობრიობა სწორ გზაზე. მისი აზრით კაცობრიობა განიცდის ცივილიზაციის კრიზისს, ისეთივე სიძლიერისას, როგორიც იყო ამ საუკუნის ოცდაათიანი წლების ეკონომიური კრიზისი. თურქულ-მაჰმადიანური ფილოსოფია, პეიამი საფას სიტყვით, მოწოდებულია დასძლიოს ეს კრიზისი, ვინაიდან ამ ფილოსოფიამ აითვისა ძველი ბერძნული ფილოსოფია, რომელიც სამართალი, ქრისტიანული ცივილიზაცია და აღმოსავლური კულტურა. საფა სცნობს მხოლოდ ორ ფილოსოფიურ საწყისს, რომელსაც უდებს საფუძვლად თავის „აზროვნებას“. ძველ ბერძნულ მატერიალიზმს და ინდურ მისტიციზმს. ადამიანში მისი სიტყვით მთავარია სული, რომელიც მას ალაპთან ახლოებს. ალაპის არსებობა კი თურმე დამტკიცებულია „ლაბორატორული ცდებით“.

ანტროპოლოგიამ წარსულში ადამიანი ცხოველად მონათლა, რომელიც არ სცნობდა სულს, საფა კი ქმნის ნეოლოგიურ ანტროპოლოგიას და დარწმუნებს ბუნებრივი შერჩევის კანონს უპირისპირებს სულიერ შერჩევის კანონს. ბოლოს პეიამი საფა მიდის დასკვნამდე, რომ შუა საუკუნეებმა უარპყვეს მატერია და იწამეს მხოლოდ ღმერთი. ამიტომ შუა საუკუნეებში კაცობრიობა მხოლოდ ცალ ფეხზე იდგა. რენესანსმა უარპყო ღმერთი და მთლიანად მატერია იწამა — ამიტომ ამ პერიოდშიც კაცობრიობა ცალ ფეხზე იდგა. ახლა კი მან, პეიამი საფამ, კაცობრიობა ორივე ფეხზე უნდა შეაყენოს — აწამების მატერია და სულიც. ეს მისი მტკიცებით გამოიყენეს საკაცობრიო ცივილიზაციის კრიზისიდან და დააყენებს სწორ გზაზე.




ჯერჯერობით კი ვერც პეიამი საფამ და ვერც მეტემდე გიოზემ და ისმაილ არასმა ვერ უშველეს თურქეთს, სადაც მდგომარეობა სწრაფად უარესდება. ეკონომიური კრიზისი თურქეთში ყველა სათვის სრულიად აშკარა გახდა. ამერიკული თვის ხელშეწყობის შესახებ. ამერიკელთა საქმიანობის შედეგად იხურება ფაბრიკა-ქარხნები, უმუშევართა არმია იზრდება. „ინეი ისტანბული“ (ახალი სტამბოლი) ამ რამდენიმე წლის წინათ წერდა: „ერთად რომ შეგვეკრიბა ყველა ის მუშა, რომელიც დათხოვეს სამღებრო და სართავ ფაბრიკებიდან, დაჯინახავდით საკმაოდ შთამავლობებელ სურათს, ვინაიდან ასეთი მუშები მეტად ბევრია“. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალურმა მდივანმა კასიმ გიულეკმა კი განაცხადა, მდგომარეობა „ქეშმარიტად მძიმეა“... მდგომარეობა კიდევ უფრო გააშფავა მიმდინარე წლის მოუსავლიანობამ ცენტრალურ ანატოლიაში. მოუსავლიანობა, წყალდიდობა და გვალვები და მათგან გამოწვეული შიმშილი თურქეთში ქრონიკულ მოვლენად იქცა. სულ მცირედი გვალვაც კი იწვევს კატასტროფულ მოუსავლიანობას. მეჯლისში, პრესაში, კარგა ხანია, რაც სცემენ განცხადებას, რომ თურქეთში მიწები გამოიფიტა, ტყეები გაიჩეხა, ბაღები განადგურდა. წლებიწინდელი მოუსავლიანობის შედეგად, რომელმაც მოიცვა თურქეთის ხორბლეულის ძირითადი რაიონები: კონია, ესკიშეჰირი და სხვ. შარშანდელთან შედარებით მოსავლის საერთო რაოდენობა ანატოლიაში 80%-ით შემცირდა. გლეხობა ვერა უხდის ვალს სასოფლო-სამეურნეო ბანკს (ჭირათ ბანკის) გაზეთ „შალქჩის“ ცნობით ვალის ანგარიშში ადნის ვილაეთში გლეხობას ჩამოართვეს ბაშბის მთელი მოსავალი და ჩუმად რომ არ დაკრიფონ ბაშბა, უნდა რამები ჩაუყენეს; მანისას ვილაეთში ყადაღა დაადეს 4000 გლეხის ქონებას, მთელ თურქეთში ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა 8.000.000 გლეხი.

კატასტროფული შიმშილიდან თავი რომ დააღწიოს, თურქეთმა უცხოეთში უნდა იყიდოს 500.000 ტონა ხორბალი მაინც. ეს იმ დროს, როდესაც საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა 1954 წლის პირველ ავგუსტოსათვის მიაღწია 349 მილიონ ლირას, წინააღმდეგ 250 მილიონ ლირისა 1953 წლის იმავე თარიღისათვის. ამასთან ერთად სწრაფად იზრდება ცხოვრების სიძვირე, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, 1953 წლის ივნისიდან 1954 წლის ივნისამდე ყველა საქონლის ფასი გაიზარდა 14,8%-ით, ბინის ქირა 33,3%-ით, სათბობი 33,5%-ით, და ა. შ. თურქეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობით უპირველეს ყოვლისა სარგებლობენ მისი „მეგობრები“ ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ასე მაგალითად, ამერიკულმა ფირმამ „ვალტექსმა“, რომელიც თურქეთს აწვდის ბენზინის მთელი მოხმარების 40 პროცენტს უარი უთხრა თურქეთს კრედიტების მიცემაზე. ამერიკის მთელმა რიგმა ფირმებმა მიიღეს პრივილეგიები თურქეთში: მაგ. ამერიკულმა „ბუნებრივი გაზების ექსპლოატაციის სტამბოლის საზოგადოებამ“, რომელმაც მიიღო თურქეთში ნავთის საბადოების ძიების უფლება, ფირმამ „ვილიის ოვერლენდმა“ რომელიც უშვებს ავტომანქანებს „ვილინებს“ ანუ „ჯიპებს“.

შინაგანი მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან ყურადღების ჩამოშორების მიზნით თურქეთის მთავრობა ცდილობს სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს საგარეო პოლიტიკაზე, სხვადასხვა ბლოკების შექმნაზე. ახლა ყველაზე უფრო „აქტუალურია“ თურქეთ-პაკისტანის აგრესიული პაქტი, რომელსაც ამერიკის კარნახით თურქეთი ცდილობს დაუკავშიროს არაბული ქვეყნებშიც. ამ მიზნით თურქეთს შედიოდა ეწვიენ ამ ბოლო ხანებში პაკისტანის პრემიერ-მინისტრი მოჰამედ ალი, ერაყიდან: მეფე ფეისალი, პრინცი აბდულაჰ, პრემიერი ნური ისაიდ და სხვ. ერაყი, როგორც ჩანს, მოვალეობას კისრულობს იშუამავლოს თურქეთსა და არაბეთის დანარჩენ ქვეყნებს შორის მათ თურქეთ-პაკისტანის პაქტთან დაკავშირების თაობაზე. მაგრამ ვინ დგას ამ გაცხოველებულ პოზიციების უკან გასტევა გაზეთმა „ინეი ისტანბულმა“, რომელიც წერდა: „არაბთა ლიგა არ არის საკმაოდ მტკიცე, ის უნდა შეიცვალოს არაბთა ქვეყნების კავშირით თურქეთთან და ირანთან, ინგლისისა და ამერიკის მონაწილეობით“.

ამერიკის შეერთებული შტატები ამ ბოლო დროს აძლიერებენ თავის აქტიურობას მახლობელ აღმოსავლეთში ყოველგვარი ბლოკების შექმნის წინააღმდეგ, ამ ქვეყნების ეკონომიკის დასამორჩილებლად, ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩასაგდებად. შედეგად კი ნადგურდება ამ ქვეყნების სახალხო მეურნეობა, იხურება ფაბრიკა-ქარხნები, იზრდება უმუშევრობა, იზრდება ცხოვრების სიძვირე.

ვერც გიოზენებური და არასისტემური „გაფიცვები“, ვერც მრავალცოლიანობის მოთხოვნა, ვერც პეიამი საფას „თეორიები“ ვერ შესძლებენ დაუფარონ თურქ ხალხს მათ ქვეყანაში შექმნილი ნამდვილი ვითარება.



მექანიზაცორები

და მათი საქმეები

დიდსა და მრავალფეროვან მუშაობას ეწევა აბაშის მტს-ი. სიმინდისათვის ნიადაგის მომზადება და ნათესების მოვლა, ჩაის პლანტაციებისა და ბაღ-ვენახების დამუშავება აქ მთლიანად მტს-ის მანქანა-მოწყობილობებით წარმოებს. იგი საკომლექტურნო მშენებლობის ორგანიზაციის ძირითადი ბირთვი გახდა. თავისი არსებობის ოცდახუთი წლის მანძილზე — მტს-ში მექანიზატორთა ღირსეული კადრი აღიზარდა. ახალმა ტექნიკამ — ახალი სპეციალისტები მისცა სოფლის მეურნეობას. ამ ოცდახუთი წლის წინათ, პირველად მიუღწედა ტრაქტორის საქმეს ამჟამად სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსი აპოლონ ჭანტურია, ხოლო ნიკანდრო კაჭარავა და გრიგოლ ჭანტურია რიგით ტრაქტორისტებიდან სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელებად დაწინაურდნენ.

მტს-ის მთავარი ინჟინერი რაფეელ გუგუშვილი ერთ დროს აგროტექნიკოსად მუშაობდა რაიონში. აგრონომ შამათავასთან ერთად, იგი მოწემა მტს-ის ზრდა-გაძლიერებისა, მისი უახლესი სამანქანო ტექნიკით აღჭურვისა.

პარტიისა და ხელისუფლების დაუღალავი ზრუნვის შედეგად, მარტო ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში აბაშის მტს-ის სატრაქტორო პარკი ს-80 მარკის 3 ტრაქტორით, დ-54 მარკის — 10 ტრაქტორით, სტზ-ნატი მარკის 15 კვადრატულ-ბულდოზერით სათესი მანქანით, სიმინდის ამღები კომბაინით და კულტივატორებით გაფართოვდა.

საუკეთესოდ არის მოწყობილი მტს-ის სახელოსნოები. აქ დადგმულია უახლესი სახარატო, საფრეზერო, საბურღი და სხვა დაზგები, მოწყობილია მოტორების გამოსაცდელი სტენდი, ხოლო სახელოსნო ცეხებში მოძრავი ამწევი მანქანებია დადგმული.

* * *

ამას წინათ მარნეულის მტს-ს არსებობის ოცდახუთი წელი შეუსრულდა. ეს უძველესი მტს-ი საქართველოს მეტამეცნიერების კოოპერაციის ბორჩალოს საშენიანო ამხანაგობის ბაზაზე მოეწყო და პირველ ხანებში ბორჩალოს მტს-ის სახელით იყო ცნობილი. მტს-ის პირველი მექანიზატორები ახლომასლო სოფლებიდან აქ სამუშაოდ ჩამოსული კოლმეურნეები იყვნენ, რომლებმაც სწრაფად ათვისეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვისა და რემონტის საქმე. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ელჩი ნაბი ოღლი, ალიევი მამედ ალი, მირზალიევი მუსა და სხვები. მათ მტს-ში შრომის სახელოვანი გზა განვლეს და დღემდე აქ მუშაობენ. მათ ახსოვთ ის სახიზარულო დღეები, როდესაც მტს-ი ახალ მანქანებს დებულობდა. 1931 წელს საკომლექტურნო მინდვრებზე სტზ მარკის პირველი ტრაქტორები გამოჩნდა. შემდეგ სატრაქტორო პარკი ჩტზ და სტზ-ნატი მარკის ტრაქტორებით შეივსო, ხოლო 1949 წლიდან მარნეულის რაიონში მიწას დ-54, კდ-35 ტრაქტორები, ს-80 უახლესი დიზელ-ტრაქტორებით ამუშავებენ. ამ ახალმა სამამულო მანქანებმა საბოლოოდ განდევნეს „ფორზონის“ და „ინტერნაციონალის“ დაძველებული ტრაქტორები. მტს-ის სახელოვანი ადამიანები სწრაფად დაეუფლნენ „კომუნარის“ და „სტალინეც-6“ კომბაინების მართვის საქმეს. ამჟამად მარნეულის მტს-ი მძლავრი სამამულო — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითაა აღჭურვილი. მტს-ს აქვს უმძლავრესი მუხლუხა დიზელ-ტრაქტორები, რომელთა წარმადობა 1940 წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისამხმელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარიც. გასულ წელს მტს-ი შეივსო კარტოფილის სარგავი სკგ-3, საზვინავი, სარწყავ-საწვიმარი მანქანებით, სიმინდის ასაღები კომბაინებით, კვალთა შორის სახნავი კდპ-3 ტრაქტორებით და სხვ. წარმატებით ასრულებენ რა კომუნისტური პარტიის თებერვალ-მარტისა და სექტემბრის პლენუმების ისტორიულ დადგენილებებს, საქართველოს მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ 1955 წელი სოფლის მეურნეობის მთლიანი მექანიზაციის გადამწყვეტ წლად აქციონ.

ფოტოზე მარცხნივ (ზემოდან ქვემოთ): აბაშის მტს-ის მოწინავე მექანიკოსი კ. ჯიბლაძე (წინა პლანზე) უახლესი ტიპის სიმინდის სათესი მანქანების რემონტის დროს.

აბაშის მტს-ის მთავარი ინჟინერი რ. გუგუშვილი (მარცხნივ) და მტს-ის დირექტორი რ. კაჭარავა ამოწმებენ კულტივატორების რემონტის ხარისხს.

მტს-თან არსებულ ორთქიანი გადასამზადებელი კურსების მსმენელები გამოცდილი მექანიზატორის ნ. კაჭარავას ხელმძღვანელობით ეცნობიან სიმინდის ასაღები კომბაინის მოწყობილობას.

ხარატი ვ. კაჭარავა მტს-ის მექანიკურ სახელოსნოში მუხლუხა ღერძის დამუშავების დროს.






მარჯვნივ (ზემოდან ქვემოთ): მარნეულის მტს-თვის განკუთვნილი ახალი ტრაქტორების გადმოტვირთვა ნავთლულის სადგურში.

მარნეულის მტს-ის დირექტორი ე. ბაბაიანი და სახელოსნოს უფროსი ე. კუკუა (მარჯვნივ) ათვალთვრებენ ახლად მიღებულ სიმინდის ასაღებ კომბაინებს.

მარნეულის მტს-ის გამოცდილი ბრიგადირი ალავერდა მამედ ოღლი მუშაობს კარტოფილის სარგავი მანქანების აწყობაზე.

ტრაქტორისტი ნაბი ალახვერდოვი და მექანიკოსი ალექსი ვრემინი გარემონტებულ ტრაქტორებზე მუხლუხების გადაჭიმვის დროს.

შუაში (ქვემოთ): აბაშის მტს-ის უფროსი ლაბორანტი ლ. კაჭარავა (მარჯვნივ) და ლაბორანტი ა. გვილავა ამოწმებენ სათესლე მარცვლების ხარისხს.





წიგნები და მკითხველები

(რეცენზიის მაგიერ)

ფოტო ვლ. გინზბურგისა

გასულ წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობაში ზედიზედ გამოსცა ჩვენი პროზაიკოსებისა და პოეტების ერთტომეულები, რომლებშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მწერლის შემოქმედების მთელი სახე, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი და მკითხველის მიერ აღიარებული ნაწარმოებები.

მტურმის წინა დამით, სანგარში იყოს დაწერილი. შეიძლება მან მართლაც არ იცოდა, რომ ხალხში გადასული ეს ლექსი ირაკლი აბაშიძის კალამს ეკუთვნოდა, ანდა უბრალოდ, ჯარისკაცული გულ-

გაშლილობით განგებ არ მოახდინა ასეთი გამიჯვნა.

ასე დაემთხვენ ერთმანეთს პოეტის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები.

ლიტერატურული მუზეუმების სტენდებზე, ხშირად შეხვდებით სამამულო ომში დაცემული ჯარისკაცის გასისხლიანებულ, კიდემემოცვეთილ დღიურებს. მკერდში გაველილ ტყვიას ფურცლებიც გაუხვრეტია. მაინც გარკვევით იკითხება: „თოთხმეტი მარტი, 1944 წ. ხვალ შეტივანზე გადავდივართ... ახლოვდება მტერზე სრული გამარჯვების დღე. თვალწინ მიდგას ჩემი დაღუპული ამხანაგები... ისინიც ჩვენთან ერთად ივლიან...“ ამგვარი ძუნწი ჩანისებების შემდეგ, დღიურის ბოლოში, სასვენი ნიშნების დაუსმელად მიწერილია:

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი იმავ მხარეს
შევწირავდი იმავ მიწას
დღეს რომ გულზე დამაყარეს

ჯარისკაცს უჩქარია, თუ დავიწყებია ავტორის გვარი მიეწერა ამ ლექსისათვის, რომელიც მისი ბიოგრაფიის განუყრელი ნაწილი გამხდარა. და ეს სტრიქონები ისე ბუნებრივად ამთავრებენ მის უკანასკნელ დღიურს, თითქოს სწორედ მაშინ,



არის ლექსები, რომლებსაც ხალხი უფრო ადრე მღერის, ვიდრე კითხულობს. ამ ლექსების სათაურს, ჩვეულებრივად, მათი პირველი სტრიქონით იმასსოვრებენ და შთამომავლობასაც ასე გადაეცემა.

„ღიმილის ბიჭი ვიყავი...“ ხშირად ღიღინით წარმოუთქვამს საჭესთან მჯდარ ტაქსის მძღოლს არმაზ შავგულიძეს, მაგრამ მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ მისი დამწერი გ. ლეონიძე ყოფილა; სანამ სადგურზე მიმავალი მგზავრი მესამე სართულიდან ბარგს ჩამოიტანდეს, დრო უშოვია და ლეონიძის ერთტომეულს კითხულობს.

„აქვს თავისი ბედი წიგნებსაც“—თითქოს გ. ლეონიძის წიგნებზეა ნათქვამი ეს სიტყვები. სად არ კითხულობენ მას, რამდენ ენაზე არ გამოუციათ იგი...

სამამულო ომის პირველ დღეებში მისი ერთი რუსული გამოცემის ტირაჟი მტრის ყუბზარებმა გაანადგურეს და მათგან მხოლოდ სამოდე ეგზემპლარი გადარჩა, სათუთად ინახავს პოეტი ამ ომ-გადახდილ წიგნს.

წიგნებმა ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. ჩვეულებრივად ხალხის კულტურის დონეზე იმ წიგნების ტირაჟით მსჯელობენ, რომელიც ამა თუ იმ ენაზე გამოდის. ამ მხრივ კი ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე რუს, მოძვე ხალხთა და საზღვარგარეთულ ავტორთა 3.205 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი გამოიცა, რომელთა საერთო ტირაჟმა 95.949.000 ცალს გადააჭარბა. ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ იმ უდიდეს კულტურულ რევოლუციაზე, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა. ასევე ბიბლიოთეკებშიც — წიგნების ფონდი და მკითხველთა რაოდენობა განსაზღვრავს მათ მუშაობას. ამ მხრივ კი ჩვენი დაზავებული ქარხნის ბიბლიოთეკებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს — მას 850 მუდმივი მკითხველი ჰყავს. სპეციალური ტექნიკური წიგნების გარდა, აქ მხატვრული ლიტერატურის მდიდარი განყოფილება აქვთ. კიროველებს უყვართ წიგნები. მათში ისინი საკუთარი ფიქრებისა და საქმიანობის მხატვრულ ასახვას მოელიან. მათ მიერ შექმნილმა დაზავებმა შორს, ჩვენი ქვეყნის გარეთაც გაითქვეს სახელი, და როდესაც ანშანელი თუ ბულგარელი ტექნიკოსები ამ დაზავების შემქმნელთა ამბავს კითხულობენ, უხერხულია ამ ადამიანთა ბიოგრაფიის უბრალო მოყოლა. კარგი იქნებოდა მათი ცხოვრების ამსახველი წიგნი დაეწერათ ქართველ მწერლებს. ასეთი თავდაბალი თხოვნით მიმართეს კიროველებმა ჩვენს მწერლებს 1949 წელს, ქარხანაში გამართულ ერთ-ერთ ლი-

ტერატურულ საღამოზე. ეს ხალხი, რომელიც საკუთარი ხელებით ქმნის მომავალს, ლიტერატურაშიც ისეთსავე სიმართლეს და ნათელ ფერებს მოითხოვდა, როგორც მათ თავის ყოველდღიურებაში ახსოვთ. მაშინ ზოგიერთმა ქართველმა პოეტმა ვეღარ გაბედა ამ გულმართალი ადამიანებისათვის, რომლებიც საქარხნო კლუბში პირდაპირ დაზავებიდან მოსულიყვნენ, თავიანთი მოძველებული ლექსები წაეკითხათ. მას შემდეგ არცთუ ისე დიდმა ხანმა გავიდა და ახლა, შესვენების დროს, კიროველებს უკვე შეუძლიათ ა. მაშაფილის, ა. ბელიაშვილის, ხ. ბერულავის, ა. შეგველიას წიგნები წაეკითხონ, სადაც რუსთავის გიგანტის მშენებლობის, რუსი და ქართველი მეტალურგების ურთიერთობის მიმზიდველი ამბებია აღწერილი.

თბილისელ ბუკინისტებს კარგად ახსოვთ ერთი ახირებული მყიდველი, რომელიც მათ მეტად იშვიათი წიგნების შოვნას თხოვდა ხოლმე. ჯგაროსნული ლაშქრობების ანალები, თუ ქართველი მეფისა და მხედართმთავრის ცხოვრების ქრონიკები, აი რა აინტერესებდა ამ უცნაურ მყიდველს. ეს იყო ამ ათეული წლის წინათ, როდესაც მწერალი კ. გამსახურდია „დავით აღმაშენებლის“ ტრატალოვის პირველ წიგნზე მუშაობდა. თვით ამ წიგნების შოვნა, ბოლო დრომდე მხოლოდ ბუკინისტურ მაღაზიებში თუ შეიძლებოდა. ახლამა გამოცემამ ნაწილობრივ შესცვალა ეს სურათი და დღეს თუ ვინმე ბუკინისტთან მაინც მოიკითხავს მის წიგნს, ეს, ალბათ, მომავალი სადისერტაციო თემისთვის სჭირდება. ამ დროს ხომ აღინდელი რედაქციებიც გასათვალისწინებელია...

ვის არ გახარებია როდესაც გამოცდაზე „სწორედ“ ლ. ქიჩილის, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, კ. ლორთქიფანიძის, კ. კალაძის შემოქმედება შეხვედრია გასარჩევად. ხშირად საგამოცდო ნიშნის ბედი უკვე გარკვეული ყოფილა, მაგრამ ჩვენ მაინც შეპირად წარმოგვიტყვამს ის



ახალი, ჯერ ისევ დაუმთავრებელი სიმფონიის ნოტები გვარდუნა გადადებული. კომპოზიტორი რევაზ ვაზიჩაძე სიმფონიებზე მუშაობის დროსაც არ იფარებს თავის საყვარელ პოეტებს. იგი ხშირად უბრუნდება მათ ლექსებს რათა ცოკათი დაისვენოს.

კომპოზიტორის ეს დასვენება ქართულ მუსიკას ყოველთვის რომელიმე ახალ რომანსს ან სიმღერას შემატებს ხოლმე.

ეს პატარები ჯერ მხოლოდ მსმენელები არიან. აი, აღმზრდელი ნინო მთვარელიშვილი ჩაათავებს ი. გრიშაშვილის ლექსის ბოლო სტრიქონების კითხვას და ისინიც ერთხმად გაიმეორებენ. ოღონდ სტუმრად მოსულ პოეტთან ნურაფერი შეეშლება და სასირცხო არაფერია. გაისათ მათაც შეეძლება ამ ლექსების წაკითხვა.



ლექსები, რომლებიც დაწერისთანავე ჩვენი უბის წიგნაკების, ალბომების, ჩვენი სულიერი სამყაროს მშენებება გახდა.


ქართველ მწერლებს ერთი „ახირებული“ მკითხველი ჰყავთ — ესენი კომპოზიტორები არიან. ისინი ყოველ ლექსში მუსიკას ეძებენ და წაკითხვისას ერთდროულად მღერაან კიდევ ამ ლექსებს. ქართველი პოეტების ლექსების სიხალდე, რითმიული მრავალფეროვნება, ხატოვანება და ლაღი დინება, როგორც მუსიკოსები იტყვიან ხოლმე, მათ ამ ლექსების მუსიკაზე გადასატანად განაწყობენ.

ყველასათვის ცნობილია კომპოზიტორ რ. გაბიჩაძის სახელი. რომელიც მრავალი წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს ქართველი პოეტების ლექსებზე სიმღერების შესაქმნელად. მისი საყვარელი პოეტები არიან ი. ნონეშვილი და რ. მარჯანი. რომელთა შესანიშნავმა ლექსებმაც კომპოზიტორს არა ერთი ლირიკული სიმღერა შთააგონეს.

ჩვენი მწერლები არც იმ პატარა მკითხველებს ივიწყებენ, რომლებიც კომუნისტური საზოგადოების მომავალი მშენებლები უნდა გახდნენ. ამ პატარა მკითხველებს ხშირად მხოლოდ იმდენი ასოს ამოკითხვა შეუძლიათ, რამდენიც მათი სახელის გამოსაყვანად არის საჭირო. მაგრამ მათ თითქმის ზეპირად იციან საყვარელი პოეტების საბავშვო ლექსები. თბილისის პირველ საბავშვო ბაღში ამ დღეებში თავიანთ საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს მოელიან სტუმრად. ამ შეხვედრაზე ბავშვებმა მისი ლექსები უნდა წაეკითხონ და ახლა აღმზრდელი ნინო მთვარელიშვილი მათ ამ შეხვედრისთვის ამზადებს.

მწერალთა მეორე ყრილობის წინ გამოცემული ქართველ მწერალთა ერთგომეულები ჩვენი ლიტერატურის ერთგვარი ანგარიში იყო ხალხის წინაშე. ამ წიგნების მრავალფეროვნება, მათში ასახული თემების აქტუალობა და ამ თემების ახლებური გადაწყვეტა ქართველ მწერლებს ჩვენი მრავალეროვნის საბჭოთა ლიტერატურის მოწინავეთა რიგებში აყენებენ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ისინი ჯერ კიდევ ვალში არიან ჩვენი ხალხის წინაშე, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლისა და კომუნისტური მშენებლობის გზაზე უჩვეულო გმირობას გვიჩვენებს. „საბჭოთა მწერალი არ შეიძლება იყოს მხოლოდ პროფესიონალი ლიტერატორი, ეს მოქმედი, ცოცხალი სახეა, ენერგიული მონაწილე ყოველივე იმისა, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება“.

გორაკის ეს სიტყვები ავალებს ქართველ მწერლებს ახლოს იყონ ხალხთან, რათა თავისი შემოქმედების იდეალს მუდამ ხალხში ექებდნენ და პოულობდნენ.



ღვთის მსახური

მსახური ზ. ლეჟავა

მითხრობა

1936 წლის 13 ივლისს დილით, როცა სან ხუანის სუტეხმა ჩამორამ გაიგო, რომ ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ფაშისტების აჯანყებამ იფეთქა, თავის მსახურ ქალს კატა-



ლინას უბრძანა სარდაგიდან ძველისძველი ზედაზე ამოეტანა. პადრე ჩამორამ დიდი საიშროებით მოხსნა თავი სითბოსგან დაორთქლილი ბოთლს, აავსო ორი ჭიქა და დინჯად, მოწიწებით ასწია ერთი მათგანი. — გვეუბრობდეს წმიდა ღვთისმშობელი, — წარმოთქვა მან და ჭიქა ბაგეებთან მიიტანა, — დალიე შენც, ძვირფასო კატალინა. მადლიანი სასმელოა.

კატალინა, რომელსაც არასდროს არ გაუწევია ურჩობა თავისი ბატონისთვის, ამჯერადაც დეემორჩილა მას. მდიდრულად მორთულ სასტუმრო ოთახში, რომლის ოთხივე კედელზე დაკიდებულ მოკრძოვით ჩარჩობებთან წმიდა მარიამის უმანკო თვალეი იშვირებოდნენ, ბროლის ჭიქების მზარული წყარუნი გაისმა. ობობებმა ფაციფუცი შექნეს ჩაბნელებულ კუნწულებში გაბმულ მტვირან აბლაბულაზე. — დაე, გვისმინოს ზეცამ და გამარჯვება გვარგუნოს, — აღტაცებით წამოიძახა კატალინამ და თან თვალს არ აშორებდა თავის ბატონს, რომელიც მეორე ბოთლს ხსნიდა.

— ერთი ჭიქაც დალიე, ჩემო კარგო, და მნათეს დამიძახე. წირვას უნდა შევუდგე. — კატალინა მნათის დასაძახებლად გაიქცა. როცა მსახური ქალი დაბრუნდა, პადრე ჩამორამ მესამე ბოთლს სცლიდა. კატალინა მნათეს სახელოზე მაგრად ჩაფრენოდა და ძალისძალით მოათრევდა.

— პადრე, — ჩურჩულით თქვა მან, — გაგაგონიათ ასეთი რამე? ამ ცოცხლის არ უნდოდა თქვენი ბრძანების შესრულება. ჩამორა შედარად წამოედგა ფეხზე, ხელები წინ გაიშვირა და შეეცადა თვითული სიტყვა მკაფიოდ წამოეთქვა.

— შეილო ჩემო, ეს რა მესმის! შენ არ ვსურდა ჩემი ბრძანების შესრულება?! ახლავე ადი. სამრეკლოზე და ზარები ისე დააგუგუნე, როგორც არასოდეს. მე მინდა წირვა გადავხადო იმ ახალი წესრიგისთვის, რომელიც ესპანეთში მყარდება. ვილოცოთ, რომ მამაშვიტერმა ღმერთმა ძალ-ღონე შემატოს გენერალ ფრანკოს. წადი, შეილო ჩემო, ნუ მეურჩები, თუ გინდა, რომ იმპერვენად სასუფეველი დამიკვიდრო.

მნათე დაკოურებული ხელებით თავის ფართოფარფლებიან შავ ქულს ქმულნიდა, და ის იყო პირი დაადო, რომ ხუცესს შესიტყვებოდა, მაგრამ პადრე ჩამორამ დაასწრო:

— სიტყვა არ გამაგონო! როგორც ვხედავ, თავში ცოცხალი აზრები გიტრიალებს. წადი და ზარე ი ისე დაარისხე, რომ მთელმა მრევლმა საქაროდ ეკლესიაში თავი მოიყაროს.

— სენიორ, მე ზარებს არ დავრეკავ, — წარმოთქვა ბოლოს მნათემ, — ამიერიდან არასოდეს აღარ დავრეკავ. თითები გამიტალიდა იმ დაქვევლილი თოკებისგან... მშვედობით, წმიდა მამო. ჩვენი ხალხი ახლა იერიშით უტევს ყაზარმებს, სადაც აჯანყებულები არიან შეფარებული... თქვენც ხომ არ ინებებდით ჩვენს დახმარებას, სენიორ?

— განვედ ჩემგან, ცოცხლო! — წამოიყვირა პადრემ. — მე თვითონ შევკრებ ყველას ეკლესიაში. ვინც წირვაზე არ მოვა, ღვთის რისხვა დაატყდება თავს!

მნათემ ზურგი შეაქცია და გავიდა. პადრე ჩამორამ ბრავშორებული თვალები გააყოლა მას, უკანასკნელი ჭიქა დღვიო გადაჰკრა და მშვიდად ცივი ხმით წარმოთქვა:

— ძვირფასო კატალინა, მოიტა დაშაზა. ვგრძობ, რომ ახლა მარტო ღვთის ხსენებით ვერას გავხდები. ჩამორამ ანაფორა გადაიცვა, ჩაიღო გიბეში დაშაზა და ფიქრებში წასულმა სულეთად გაპარსული ნიკაპი მოისრისა.

— ესეც ასე! ახლა შემძლია წავიდე საწირავად. დედად ღვთისმშობელს, — ჩუმად წარმოთქვა მან, გულზე ხელები დაიჭრა და თვალები ღვთისმშობლის ხატს მიაპყრო, — შეუნდე შენს ერთგულ მსახურს, თუ თავისი მრევლიდან დღეს რომელიმე მორწმუნეს საიქიოს გაისტუმრებს... გვეუდრები, შენს მფარველობას ნუ მოაკლებ მათ, ვინც აშუაშად იარაღ აღმართა რესპუბლიკელების წინააღმდეგ, რომელთაც ღვთისა და ბატონის შიში დარიდა დაუკარგავთ.

ძველისძველი ღვინით გულმოცემული ხუცესი საქაროდ გავიდა სახლიდან და ეკლესიის გზას გაუდგა. ფეხდაფეხ უკან აედევნა მისი ერთგული და მორჩილი კატალინა თასზე აცმული გასაღებებით ხელში.

აღრქიალდა ბოქლოში. ეკლესიის კარები გაიღო.

თავის სიცოცხლეში პადრე პირველად ადიდა მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო კიბით სამრეკლოზე. კატალინა განსურებული ღანდღივით ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდა მას.

ისინი მძიმედ სუნთქავდნენ. ყვავყორნები გუნდ-გუნდად აფრინდნენ სამრეკლოდან და მის გარშემო ტრიალი დაიწყეს. დაპურები კედლებიდან აფრთხილდნენ და დაფეთებულნი სახურავს მიასკდნენ. პადრე ჩამორა საფეხურებს ითვლიდა. შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

როგორც იქნა სამრეკლოზე აღწია, სადაც სიმწვანედაკრულ სპილენძის ზარებიდან ერთმანეთში გადახლართული თოკები ჩამოშვებულიყო. ყაზარმებიდან სროლა ისმოდა. შეიარაღებული

მუშების ჯგუფი დიდ ალაყაფის კარებს მისდგომოდა და ამტრევდა.

ჩამორამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და სული მოიბრუნა, მერე ქვემოთ გადაინდო და მოიერიშეებს დააშტერდა, პირფარი გადაიწერა, ჩაებლაუჭა დიდი ზარების თოკებს და ჩამოჰკრა.

— შეუნდე, უფალო, რამეთუ არა იციან, რასა იქმონან.

კატალინამ თავის ბატონს მიბაძა და ზარები დააგუგუნა.

ძინ-ძინ! ნაუ-ნაუ! — გაისმა მთელ სოფელში.

განცვიფრებული ხალხი ეკლესიისკენ იურბოდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ყველა, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, ყაზარმების საიერიშოდ წასულიყო. შინ მხოლოდ ბავშვები და მოხუცები დარჩნენ. ზოგიერთი მათგანი გაეშურა ამ უჩვეულო წირვის მოსახმენად: ვინ იცის, იქნებ პადრემ რესპუბლიკისა და მისი დამცველებისთვის პარაკლისის გადახდა განიზრახაო. მაგრამ შედგეს თუ არა ფეხი ეკლესიაში და განრისხებულ ხუცესს აწყენენ, რომელიც სამრეკლოდან ჩამოსულიყო, მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ. ზოგიერთი მამონე უკან გაბრუნდა, დანარჩენებმა გადაწყვიტეს პადრე ჩამორას ქადაგება მოეხმინათ.

პადრემ სახარება გადაშალა და ქადაგად გადაიქცა. წყევლა-კრულვა და საშინელი მუქარა გაისმოდა მის ბაგეთიდან. ჯოჯოხეთში ეშმაკების კერბი გახდებოდა ყველა, ვინც რესპუბლიკას დაიცავს და გენერალ ფრანკოს წინ აღუდგებოდა. ეკლესია თანდათან ცარიელდებოდა.

მაღე ტაძრის ჩამოხრებაზე მთელი ექვემ მარტო ორნიდა დარჩნენ — თვითონ ხუცესი და მისი ერთგული მსახური ქალი.

უეცრად მთელი არემაეე საშინელმა აფთქებამ შეაჯანჯარა. პადრე ფანჯარასთან მიიბრძინა. ყაზარმები მტვრის ბულში გახვეულიყო. როცა მტვერი გაიფანტა, შეამჩნია, როგორ შევარდა ხალხი ყაზარმის განგრეულ ალაყაფის კარებში. თავზარდაცემულმა პადრემ თვალზე შეხელება აიფარა. გონს მხოლოდ მამონ მოვიდა, როცა საყდრის ფანჯარასთან ხმაური შემოესმა. მოდიოდნენ შეიარაღებული სოფლები. მაღლა აწული შაშხანით წინ მნათე მოუძღვოდა.

დამბაჩის ტარით პადრემ ფანჯრის მინა გაამტვრია, დაუმიზნა და გაისროლა. მნათე რამდენიმე ნახივე გადოდა და თქაიქცა. მისი ამხანაგები გაოცებული შეჩერდნენ, აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა.

კატალინამ პადრესთან მიიბრძინა და აბუბუნდა:

— ასე მოუხდებოდა მგათ! გაიგონ, რომ ღვთის მსჯავრი არც ერთ ურჩს არ ასცდებდა. ჭკუას ისწავლიან!

პადრეს წაქეზება არ ესაქირობოდა. მან კვლავ გაჰყო დამბაჩა ფანჯარაში, დაუმიზნა და გაისროლა. მნათეს გვერდით მტვირან გზაზე კიდევ ერთი დაეცა. დანარჩენები კვიპაროსებს ამოეფარნენ და ეკლესიას ტყვია დაუშინეს.

ჩამორა ფანჯარას მოსწყდა, მიიბრძინა ტრაპეზთან და ძირს დაანარცხა წმიდა ღვთისმშობლის ქანდაკება. მერე ბიბლიას ეცა, ჭკის იატაკზე დაადგო, ფეხებით ზედ შედგა, გაყვირებულ ფურცლები ჩაბლუჯა და ნაწილნაწილ გლეჯა დაუწყეო. ბოლოს ყველაფერი ერთად მოაგროვა, ჯობილდა ასანთი

ამოილო და გამომშრალი ქაღალდს ცეცხლი წაუკვია

— პირი რას დაგილია? — დაუყვირა პადრემ მსახურ ქალს, — გაინძერი, მომეხმარე! დაე, იფიქრონ, რომ რესპუბლიკელებმა დასწვეს ღვთის სახელი. მაშინ ნახავ როგორ აღმფეთხლება ყველა მორწმუნე კათოლიკე.

კატალინა ერთ წუთს ჩაფიქრდა, მერე ორივე ხელი ჩაავლო მუხის ჯვარცმას და მთელი ძალ-ღონით თავისკენ მოსწია.



კოცონი თანდათან ჩაღებოდა. მაღალთაღიანი ეკლესია კვამლით აივსო. ცეცხლის ალი ხარბად ლოკავდა წმიდა ხატებს და ზედოზედ ნთქავდა მათ.


კვამლში გახვეული პადრე ჩამორა და კატალინა მალულად გამოვიდნენ ეკლესიიდან. იმ დროს, როცა მამოს ერთგული მსახური ქალი ეკლესიის კარებს ჰკეტავდა, მის ზურგს უკან სროლა გაისმა. ქალი ნელ-ნელა ჩაიქცა. ჩამორამ შიშით ირვკვივ მიიხედ-მოიხედა, იარაღი დამალა და ცხვირში ჩაიღულუნა:

— უფალომა შეგინდოს, ძვირფასო კატალინა! აღარ მესაქიროება შენი დახმარება.

... პადრე ჩამორა ყორე-ყორე ტუჩისკენ მიიპარებოდა. საღამოს ბინდში მან ერთ-ერთ დიდ მონასტრამდე მიაღწია და იქ შეიარაღებულ ბერებს შეუერთდა. დამით ისინი ერთ უახლოეს სოფელში შეიკრნენ და თავს დაესხნენ რესპუბლიკის დამცველებს.

თარგმნა ზ. გვინიჩიძე





ქსალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენაზე ნაკლებად თუ მიუქცევია ვინმეს ყურადღება გალერეის შესავალთან გამოდებულ წარწერას: ვის—ახალგაზრდა მხატვართა ეტიუდების საშემოდგომო გამოფენა, რომელსაც, ალბათ, ერთგვარად უნდა გაეფრთხილებინა, მოემზადებინა მნახველები, რათა სახელდახელო ეტიუდური ნამუშევრებისადმი ჩვეული მომთხოვნელობა არ გამოეჩინათ.

მაგრამ, რაღაც დაუძლეველი ინსტინქტის გამო, ჩვენი თვალი იხე ეტანება დასრულებულ სურათოვნებას, ჩვენი ხელოვნების ნაწარმოების დამთავრებულობის მოთხოვნა იმდენად ბუნებრივია, რომ რაგინდ ახალგაზრდული უშუალოებით და შთაგონებითაც არ უნდა იყოს შესრულებული ეს ეტიუდები, ისინი მაინც წამიერ, გარდამავალ შთაბეჭდილებათა ასახვად გვეჩვენება. მათ ჯერ კიდევ აკლიათ ფართო განზოგადოების და ტიპიზაციის ძალა, რაც ვიწრო კამერულ რკალში აქცევს მათს ხელოვნებას.

მაყურებელი ახალგაზრდა შემოქმედთაგან მოითხოვს ფართო სიუჟეტურ-თემატურ თუ უანრულ სურათებს, მოითხოვს კომუნიზმის მშენებელი ახალგაზრდა ადამიანის სახის ჩვენებას, ე. წ. „ახალგაზრდული თემების“ ამსახველ მრავალფეროვან კომპოზიციებს, რომლებშიც ხვალინდელი დღის სიმაღლეებიდან იქნება დანახული ჩვენი ყოველდღიურობა, რომლებშიც ეს ეტიუდები ორგანულად აღივსება დაიჭერენ, არა მათი ზომების უბრალოდ გადიდებით ან შემცირებით, არამედ საერთო მხატვრული ჩანაფიქრებისადმი ბუნებრივი დაქვემდებარებით.

ეს მოთხოვნა მით უფრო ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ამ ეტიუდების ავტორთა უდიდეს შესაძლებლობებს, მათს გაბედულ ძიებასა და მომწიფებულ პროფესიულ ოსტატობას. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ აკადემიაში იცავდა დიპლომებს. ახლა კი ფართო სამსჯავროს წინაშე გამოტანილმა მათმა ნამუშევრებმა, როგორც იტყვიან, თვითონ უნდა დაიცვან თავი. და როდესაც მათ ეტიუდებთან მაყურებლები გაცხოველებით კამათობენ ცალკეულ დირსებებზე თუ ნაკლოვანებებზე, ხშირად შეხვედებით იქვე, შორიახლო, ვითომდა შემთხვევით, გაჩერებულ ახალგაზრდა მხატვრებს, რომლებიც ცდილობენ მაყურებლის პირუთვნელი კრიტიკის არც ერთი სიტყვა არ გამოჩინონ. თვინათ პირველ გამოფენაზე ასე ეცნობიან ისინი ხალხს, რომელთან სიახლოვემაც უნდა განაპირობოს მათი მომავალი წარმატებანი. ბევრისთვის კი ეს გამოფენიდან-გამოფენამდე ინდივიდუალური მხატვრული სტილის გამოკვეთის და სრულყოფის გზის ჩვენებაა. მათი შემოქმედებისათვის უცხოა ის დამლელი პირობითობა, რომელიც სინამდვილის ასახვას უკვე დადგინალ სქემებს უქვემდებარებს. ისინი არჩევენ დაუშვან ზოგიერთი შეუხაბამობანი ნახატსა თუ კოლორიტში (თუმცა ზოგჯერ ეს წერის სუსტი ტექნიკის ბრალიცაა), ოღონდ ბოლომდე შეუნარჩუნონ ეტიუდებს უშუალო და პირველი განწყობის მომხიბვლელობა, მართალია მათ ზოგჯერ აკლიათ გრძნობის სიღრმე, რაც ამ ნამუშევრებს გულუბრყვილო აღწერის ელფერს აძლევს, აკლიათ თავისუფლება.



რ. მეტრეველი. — სერვიზი.

(ფაიფური)

ვ. ცომაია. — ლიანდაგის დამგები.

(თაბაშირი)

გ. ოჩიაური. — ქალიშვილის პორტრეტი.

(ტონირებული თაბაშირი)





3 ელისაშვილი. — დიდი ხე. (ხეთი)

და გაქანება ბუნების მოდელების გადმოცემისას, მაგრამ ეს ერთიანობა, რომელიც მათ განცდებსა და ამ განცდილ-ჩანაფიქრის მხატვრულად გადმოცემას შორის არსებობს, იშვიათად თუ ირღვევა.


ასეთი შთაბეჭებით გამოირჩევა კ. ხვიტიას და რ. ჯალაღონიას პეიზაჟები და ე. კალანდაძის პორტრეტები. მათმა კოლორიტმა მუდამ ეხატება ადამიანთა ამა თუ იმ განწყობილებებს, მათში ფერებზე სურათის შინაგან წინასწარობას აწესრიგებენ და კომპოზიციის მთავარ ელემენტად გვევლინებიან, მაგრამ მათ მაინც აკლიათ საქართველოს ბუნებისათვის დამახასიათებელი ფერთა წუობის მიგნებისა და განზოგადოების უნარი. ქართული შემოდგომის განუმეორებელ სურნელებას ამ ეტიუდებში უფრო „ბედნიურად“ მიგნებული ბუნების რომელიმე მოტივი გადმოსცემს, ვიდრე ფერები.

ინტენსიური ფერწერული უღერადობის მიუხედავად, რ. ჯალაღონიას ეტიუდებში ფერები ხშირად მოკლებულნი არიან ემოციურ ცხოველყოფილობას. ეს იმის შედეგია, რომ ახალგაზრდა მხატვარი გაურბის მსუბუქ ნახევარტონებს, ერთნაირად ამუშავებს წინა და დაშორებულ პლანებს და მეტად თავისებურად, თითქმის რელიეფური გამოკვეთილობით გადმოსცემს ფაქტურას. თვალში გვეცმათ წერის მანერული, მოჩვენებითი სითამამე.

მაღალი ოსტატობითაა შექმნილი ე. ანდრონიკაშვილის ინდუსტრიული პეიზაჟები, ნ. იანქოშვილის გრაფიკული პორტრეტები და ე. თულაშვილის ლითოგრაფიული პეიზაჟები (ბაკურიანის ციკლი). ეს ეტიუდები ბუნების ორიგინალური მოტივების მიგნებით, მათი სათითო დამუშავებით გამოირჩევა. მხატვარი ახერხებს ყოველდღიურობის ელფერი მისცეს ბუნების თითქმის უჩვეულო, უეცარ მდგომარეობებს. მათში თითქოს ყველაფერი მარტივი და უბრალოა, მაგრამ ეს უბრალოება არასოდეს პრიმიტივიზმში არ გადადის. დამაჯერებელი უბრალოებით და თემის რეალისტური გახსნით აღინიშნება კ. ყარაშვილის ილუსტრაციები „აღუდა ქეთელაურისათვის“. ერთი შეხედვით მათ აკლიათ სურათის დასრულებულობა, მაგრამ როგორც ჩანს მხატვარი ამას განგებ სჩადის: — იგი წინ არ უსწრებს ავტორს და ცდილობს მსაყურებელი თანდათან მოამზადოს პოემაში გაშლილ დრამატული კოლიზიებისათვის. ალუდას მოხდენილი გარეგნობა, დამახასიათებელი შესტი და ზომიერი რაკურსი კარგად გვიხატავს დიდი შინაგანი ბუნების ადამიანის სიმღერეს. ილუსტრაციების ძირითად ტონს რბილი ფანქარი იძლევა, მაგრამ არა სათანადოდ დამუშავებული ფონი ამ ილუსტრაციებს რამდენადმე ნაჩქარევ იერს აძლევს.

ქართული სპეციფიკით ნაკარნახევი „დაუსრულებლობა“ ახასიათებთ აგრეთვე დეკორატორის ენაზე ამეტყველებულ რ. არუთინოვის ესკიზებს. მხატვარი ცდილობს ძალდაუტანებლად, სტალიზებული არქიტექტორული კონსტრუქციების გამოუყენებლად შეავსოს სურათი

რ. არუთინოვი. — კომპოზიტორ გლიერის ბალეტ „წითელი ყაყაოს“ დეკორაციის ესკიზი. (გუფაი)



თი, ცდილობს შექმნას სახალხო დრამის შე-
საფერი ფონი. მის ესკიზებში ბუნებისა თუ
ქვის ნაგებობათა ხედები ორგანულად არის
შერწყმული ხალხის — მსახიობთა სამოქმედ-
ლო ადგილებთან და მხატვარი არ მიმართავს
მათთვის საგანგებო ხაზგასმას. კარგ შთაბეჭ-
დილებას სტოვებენ რ. კეკელიძის, ლ. ძაძაძი-
ძის, ი. ბარნაბიშვილის, ვ. ელისაშვილის და
სხვ. პეიზაჟები. ამ უკანასკნელის „დიდი ხე“
კარგად გადმოსცემს შემოღამების განწყო-
ბილებას. პეიზაჟი სასიამოვნო მწვანე გამაშია
დაცული, რომელსაც კიდევ უფრო აუღერებს
შეუფოთლავი ხის ტანისა და უკანა პლანზე
გამოჩენილი ადამიანების სილუეტების მოუ-
ვითალო-წითელი ფერები. მაგრამ ადამიან-
ებს მის პეიზაჟში, ისევე, როგორც სხვა
ახალგაზრდა მხატვრების ტილოებში, უმთავ-
რესად კოლორიტის გამახალისებელი ფერა-
დი ლაქების როლი ენიჭება და ისინი ბუნე-
ბის სინთეტური სურათის გარეშე რჩებიან.

მომხიბლავი ინტიმურობით არის გად-
მოცემული შემოდგომის სურათი ვ. გიორგო-
ბიანის პეიზაჟში „ბარისახოს გზა“. დასანანი
მხოლოდ, რომ ამ სურათის პოეტური ლირ-
იზმი რამდენადმე განუენებული ხასიათისა
და არ ეფარდება ბარისახოს მალამთიანი
ბუნების ტიპურ სახეს.

პლასტიური ფორმების სიცხადით და
მრავალფეროვნებით გამოირჩევა ახალგაზრდა
მოქანდაკეების ცომიას, ი. ოჩიაურის, ე. კა-
კაბაძის, გ. ოჩიაურის, გ. ფირცხალავას,
თ. ნაცვლიშვილის, დ. საჩლიანის და სხვა-
თა ქანდაკებანი.



რ. კეკელიძე. — ყაზბეგის პეიზაჟი.

(ხეთი)

რ. ჯალაღონია. — ტყის განაპირას.

(ხეთი)





ე. თულაშვილი. —
ბაკურიანი.
(ტემპერა, ტუში, გუაში)



კ. ყარაშვილი. —
„ალუდა ქეთელაურის“
ილუსტრაცია.
(ლითოგრაფია)

მონუმენტლობისკენ სწრაფვით ხასიათდება ვ. ცომაიას ქანდაკებები. მას უმთავრესად ძლიერი ნატურები აინტერესებს, რომელთაც მეტად მოძრავ, დინამიურ კომპოზიციებში და ტალღისებური, მკვრივი მოდელირებით ამუშავებს. მხატვრული სახის მისთვის ჩვეული გარეგნული გადაწყვეტა და უტრირებულ ფორმებში გადმოცემა ოდნავადაც არ სტოვებს გაზვიადებული ეფექტების შთაბეჭდილებას, არამედ თვით მხატვრის შემოქმედებითი სტილის თავისებურებათა მანიშნებელია. მეტად მდელვარე კონტურით აღბეჭდილი წელშიშველი მუშის ფიგურა უფრო სრულყოფილი აღქმისთვის რაღაც დამატებით არქიტექტურულ ფონს, ანსამბლურ გადაწყვეტას მოითხოვს. ეს მეტ ხმოვანებას მისცემდა მხატვრის მიერ ქანდაკებაში საგანგებოდ შეტანილ დეკორატიულ შტრიხებს.

დიდი შინაგანი ექსპრესიულობით ხასიათდება ი. ოჩიაურის მიერ შექმნილი სკულპტურული პორტრეტები და ბარელიეფი „ხორუმი“. ამ უკანასკნელში ქართული ხალხური საცეკვაოს მდელვარე რიტმი, ჩვენდა შემჩნევლად თვით მოძრაობაში გადასულა და სახასიათო უნარულ შტრიხებს გაუცოცხლებია ბარელიეფი.

საგანგებოდ ხაზგასმული გარეგნული სიმშვიდით ხასიათდება გ. ოჩიაურის მიერ შექმნილი პორტრეტები. მისი „ქალიშვილის პორტრეტი“ თავისუფალია იმ დეტალებისაგან, რომელთაც მოქანდაკის თხრობა უნდა შეავსონ, — ახალგაზრდა მოქანდაკე უამისოდაც კარგად ახერხებს ქალიშვილის სახის ფსიქოლოგიური სიმართლით გადმოცემას. მისი შორს გადატანილი, ჩაფიქრებული ხედვა და მთელი პოზა, ისეთი ბუნებრივი თავისუფლებითაა გადმოცემული, თითქოს ახალგაზრდა მოქანდაკე პირვანდელ ესკიზზე შეჩერებულა და ბოლომდე შთაგონებით დაუმუშავებია იგი.

თემის თავისებური გადაწყვეტით აღინიშნება თ. ნაცვლიშვილის მიერ შექმნილი საბა-სულხან ორბელიანის ქანდაკება. ავტორს უცლია დიდი ქართული მწიგნობრისა და დიპლომატის მთლიანი სახე მოეცა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ბოლომდე არ არის დაძლეული. ჯერ კიდევ მოსაძებნია თავისა და ხელების თანაზომიერი პროპორციები. ქანდაკება მოკლებულია მომენტის განზოგადოებულ პლასტიურ დახასიათებას, რის გამოც ჩვენი შთაბეჭდილება უბრალოდ საბას სახის გამოცნობის იქით ვერ მიდის.

ვფიქრობთ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თვით ახალგაზრდა მხატვრებიც ეტყულებინ ამ გამოფენას ერთგვარ მოსამზადებელ საფეხურად თვლიან მომავალი გამოფენებისათვის, სადაც ისინი შესძლებენ მთელი ძალით გამოავლინონ თავიანთი მხატვრული შესაძლებლობანი და საკუთარი წვლილი შეიტანონ ქართული ხელოვნების განვითარებაში.

ნინო ოპროსცვაიძე

ვ. გიორგობიანი. — შემოდგომა (ბარისახოს გზაზე).
(ლითოგრაფია)





პირველი სიყვარული

ნოველა

ბენე ბარლაველი

მხატვრები:

კ. შარაშვილი და

კ. მახარაძე

გაიოზ ავჯანდაძე ცინისძირის დასასვენებელ სახლში გავიწყობდა. ერთ ოთახში ეცხოვრობდით და მალე დამეგობრდით. იმთავითვე მომეწონა მალაი, მხარგრძელი ვაჟაკი. შავ, გრუზა თმაში წმირი ჭაღარა გარეოდა, თუმცა ოცდაექვსი წელი შესრულებოდა ახლახან. მიმზიდველი მოსაუბრე აღმოჩნდა ჩემი ახალი ამხანაგი. არც გასაკვირია: ლიტერატორი ყოფილა, უნივერსიტეტში ასპირანტურის კურსი დაუშთავრებია. სიამოვნებით ვუსმენდი ხოლმე მის ფრთხილ სიტყვას.

ყველაფრით შემეძლო ვაჟაკი იყო ავჯანდაძე და ამიტომ გამაოცა ასე ძალიან: ქალიშვილებთან მორცხვობდა მეტიმეტად. საკმარისი იყო რომელიმე მათგანი ჩვენს გვერდით აღმოჩენილიყო, რომ გაიოზი დასამაულოვნე წასწრებული ბაღივით დაიბნეოდა, გაწითლდებოდა, ენას ჩაყლაპავდა და ქანდაკებასავით სდუმდა. როდესაც სამშრობოება ჩაივიდა, გაიოზს ისევ დაუბრუნებდობდა მეტყველების უნარი და თვითონვე უღმობლად დასცინოდა თავის თავს.

საპოლოოდ დაღუპულად ჩავთვლიდი მის საქმეს, ერთ ქალთან რომ არ დამეხანა ჩნდებოდა. შეზღოვნებზე წამოყოლილი წყნარად საუბრობდნენ პალმების ჩრდილში, ანდა უხმოდ სკინიზობდნენ ხეივანში.

თინათინი მხატვარი მეგონა პირველად, რადგან მოღებრტთან მჯდარი მინახავს მრავალჯერ და არცთუ ცუდ პეიზაჟებს ხატავდა. შემდეგ ვავიგე, რომ პედაგოგი ყოფილა. ლამაზი ქალი იყო. ნატიფი, სანდომიანი სახე ჰქონდა. მის თავისებურ, სწორ სიარულში, წამწამების სიღრმიდან გამოხედვება იგრობოდა რაღაც დიდი სულიერი წინასწრობა. იგი თავისუფლად უსწორებდა მხარს ტანმალა ავჯანდაძეს.

აქცე აღმოჩნდნენ ცნობისმოყვარეები. ასწონეს, დასწონეს და ერთმანდა დაასკვნეს: ავჯანდაძე და თინათინი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილი.

საშისოს ამ ნაცნობობაში მე ვერაფერს ვამჩნევდი, მაგრამ ერთხელ, რადგან ვიცოდი რომ ავჯანდაძე უცხოელი იყო, მაინც ვუთხარი გულახდილად: შენს ადგილას რომ ვიყო, თინათინს ცოლად შევიერთავდი-მეთქი. არაფერი მიპასუხა. შევატყუე კი, რომ შეკრთა. მთელი დღე ბიარლამ იწვა გარინდებული. კარგა ხანს გაიოზი გავლილი აღარ დაგვიხანავს იმ ქალთან. მეც ვავფრთხილდი და მასთან ამ საგანზე საუბარს ვერბდობდი.

ერთხელ, როგორღაც, სიყვარულზე ჩამოვარდა სიტყვა. მე ვკითხე ავჯანდაძეს თავისი პირველი სიყვარულის შესახებ. მან მხრები აჩრჩა, მერე გაიღიმა და დაეცინა. სახეზე ერთბაშად თითქოს ნისლმა გადაუარაო და მე მეგონა, ზღვიდან მობერილმა ნიავმა კი არა, ამ ნისლმა შეარხია მისი თმები. ეს ერთი წამით. შემდეგ ისეთი სითბო ჩაუდგა თვლებში, თითქოს ზღვისპირეთის მცხუნვარე ცა აირეკლათ.

— პირველი სიყვარული? — შეცვლილი ხმით წარმოთქვა მან.

სანაპიროზე ვზვიარდი. წინ უსასრულო ზღვაა. ხელმარცხნივ — ნაძვანარები და ბაშულები მრულე ხაზად გასდევს სანაპიროს. ხელმარჯვნივ — ზღვა შემოჭრილა ხმელეთში, პატარა ყურე გაუკეთებია. შუაგულ ყურეში ნაპირს მოწყვეტილი კლდე ავლია. ამ კლდის გარშემო გულმოსულად ბუბუბუყებს ზღვა და ცაცხარებით ახლის ტალღებს, თითქოს სურს ეს მარტოხელა კლდე ისევე ნაპირს შესტყორცნოს. ტალღებს კლდის კიდე უკვე გამოუხრავს და ახლა წასაქცევი კაცივით დგას.

თვლი შევაველე ფეხმორთხით მჯდარ ავჯანდაძეს. მზეს გაერუჯა იგი, როგორც ბოშა, გზებზე მოხეტიალე. მოღუნებული პოზაც ვერ მალავდა რკინის კუნთების სიმკვერჩვეს, ხოლო იმ ადგილზე, სადაც რგოლებად იკვებოდა მხარ-ბეჭისა და გულ-მკერდის ჯაჭვი, მარცხენა ძუძუს ქვეშ დილის ოდენე ხალი აჯდა. მეორე ხალი, უფრო მომცრო, შუბლზედაც ჰქონდა. თითქოს ბირველად შენახოს ავჯანდაძე: ახლად მენიშნა მელნისფერი წარბების ჩრდილში მოცმციმე ძალიან ლურჯი, გამჭოლაგი თვლები.

არა, ასეთ კაცს სიყვარულში არ უნდა განეცადა დამარცხება.

— პირველი სიყვარული, შენ მკითხე — განაგრძო გაიოზმა — შეიძლება ასე ეწოდოს იმ გრძნობას, რომელმაც შეარყია და თავდაყირა დააყენა მთელი ჩემი არსება? მაშ, რაღა ყოფილა უკანასკნელი? როდესაც ვამბობთ პირველიო, იგულისხმება მეორე, შესაძლებელი და ასე შემდეგ... არ ვიცი. იქნებ შენ იცოდე. ერთი რამ ცხადია: პირველი სიყვარული იმ კარგ სიმღერას ჰგავს, რომელიც სამუდამოდ ჩაგრჩება გულში.

„უნივერსიტეტში რომ შევედი, თავი დიდი ვინმე მეგონა. ხუმრობა ხომ არ არის: ჩემი ლიტერატურული რეფერატები და მოხსენებები ყოველთვის კარგ შეფასებას იმსახურებდნენ. მასწავლებლები ბრწყინვალე მომავალს მიქაძდნენ. ეს კიდე არაფერი — თითოე დღეული ლექსებით მქონდა საყვე, და მერე რა

ლექსებით! დედაჩემის სიამაყეს საზღვარი არა ჰქონდა, ხოლო გოცნებული მეზობლები მოწონებით იქნევდნენ თავს.

ქირამდე ჩამოვარცხნილი ქოჩორი, დაუდევრად აწეული ფიჯაკის საყელო, კბილებში გაჩრილი პაპიროსი, დაბინდული გამოხედვა — აი, მაშინდელი ჩემი პორტრეტი.

ამაყად შევაბიჯე უნივერსიტეტის ეზოში და წინასწარ წარმოვიდგინე, თუ რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩემს პიროვნებას სტუდენტებზე. ხომ უნდა იგრძნონ ვისთან აქვთ საქმე?

ჩემლა სამწუხაროდ, ყურადღება მაინცდამაინც არავის მოუქცევია. ხელები უკან შემოვიწყვე და ნელი ნაბიჯებით ჩავსაურე ეზოში ჩამწერივებულ სკამებს. სტუდენტები ჯგუფურად ისხდნენ, მხიარულად საუბრობდნენ, ერთმანეთს ეცნობოდნენ, იციროდნენ, ხუმრობდნენ. ერთ სკამთან, რომელზეც ქალიშვილები ისხდნენ, განგებ შეეჩერდი. მე თითქოს ყურადღებას არ ვაქცევდი მათ. პაპიროსის ვლექდი და უნივერსიტეტის შენობას ვათვალიერებდი, ცალი თვალი კი ქალიშვილებისკენ მიქრია. როცა გადავიწყვიტე, რომ უკვე საკმაო შთაბეჭდილება მოვახდინე, ახალი პაპიროსი ამოვიღე და გულგრილად გადავხედე გოგონებს. წყვილმა თვალმა შემომანათა. დამცინავი შუქი აციმციმდა იმ თვალებში. მერე ის შუქი ნუშის გულივით თეთრ სახეს გადაედო, გაველვა მწყობრად მიჯრილმა კბილებმა და მომხიბლავი ტურჩივც დაცინვით მოინახა.

ინტებარგატებილი სისწრაფოდ შეგბრუნდი. ხმადაბლა ნათქვამი და თავმეკავებული სიცილი მომემახა: გოგოებო, ყოყოვინა ყვირილია ნომშიდელი იმ მამარ მდელვარებას, რომელსაც მაშინ განვიცდიდი. მე უკვე სტუდენტი ვიყავი... ჩემს წინ ფართოდ და მიმზიდველი პორიზონტი იშლებოდა. თავი ხან სახელმწიფოებოდ პროფესორად წარმომიდგებოდა, ხან ცნობილ მწერლად. ერთაც მიტაცებდა და მეორეც. როგორც ვერადი ქალაქები ქარში, ისე დატრიალდნენ ათასნაირი ოცნებები, ტყვები, იმედები...

ზარის წკრიალმა გამომაფხიზლა. აუდიტორიაში პროფესორი შემოდიოდა. ვეხვებ წამოვდევით. აღტაცებული მიგრებობდი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მომღიზარე პიროვნების. უნებურად, თითქოს სახე ამეწვა, გვერდზე მივიხედე და... ის ქალიშვილი დავინახე. იგივე დამცინავი ტურჩები. შავი თვალები, წამწამების სიღრმიდან მომზირალი. ავირეი. ვიდექი და ვგრძნობდი, როგორ დაეცინებოდა ის თვალები ჩემს შუბლზე, ცხვირზე, ნიკაპზე. ოვლა დამასხა. მოწყვეტილი დავიქე და რვეულის ფურცელზე გადაჭარბებული გულმოდგინებით გამოვიყვანე: ლექცია № 1...

ახლოს ორიქლმავლის კივილი გაისმა. ბათუმისკენ ჩქარმა მატარებელმა ჩაიარა. გაიოზმა თვალი გააყოლა მატარებელს და განაგრძო:

„ლექცია № 1 დაუმთავრებელი დარჩა... ქალიშვილს თათია ექნა. მულად ამხანაგებით გარშემორტყმული, სწავლაში ბუჯითი, გულმოდგინე და ყურადღებანი, ხანაც ცელქი, თავანარი, კისკისა — ყველაფრის სული და გული ის იყო. ასეთი დარჩა იგი ჩემს მახსოვრობაში. მხიბლავდა იგი და... მაშინდელა. ჰო, ყოველთვის ვნიშობდი: აი, საცა გადაიკისკისებს, გადაიკისკისებს და მომახლო: „ყოყოვინა ყვირილი“. ვიბრიზებოდი, ვიბუხებოდი და როგორც ლოკინა ნაჭურში, ჩემს გულში ვიკეტებოდი. თათია კი... თითქოს არაფერი. თავისებური სწორი, გამართული ნაბიჯებით ამივიდა გვერდს, თითქოს ვერც მაჩვენებდა; ხან პირიქით, შესვენების დროს მომიჯდებოდა მერხზე და მომჩერებოდა თავისი შავი, გამოყუნობი თვალებით. დავინვლი, ვავწითლდობოდი. მეკითხებოდა რაღაცას, ცდილობდა საუბარში ავეყოლები. შემდეგ გამომწვევად გადიმიგბდა და დამტოვებდა ნაწევლავს, აფორიაქებულს. მოსვენებას არ მაძლევდნენ მისი თვალები. რა უფრო იყო მათში: დაცინვა თუ ცნობისმოყვარობა? ხანდახან მეჩვევებოდა, რომ ის თვალები რაღაცას მთხოვდნენ, მოკრალეებით მთხოვდნენ. ამის გუფირებაც კი ჟრუსტელს მგვირდა და უსაზღვრო ნეტარებას განმაცდენებდა. ვგრძნობდი: როგორმე უნდა გამომეთქვა ჩემი გრძნობა, რომელიც ახალი იყო და ჯერ განუცდელი. ენა არ მემოჩნებოდა, სიტყვები ვერ ვაოულობდი და ვწუხდი, ვწვალდობოდი... მაშინ დაიწვა ჩემი რვეული, ვერვალდი იქცა ბევრი ნაძალადევი ლექსი სპილენძისფერი მთავრებით, მაღაქების თვალებიანი მწეთუნახავეებით, ფრთამოტეხილი რითმებითა და აურაცხელი შორისდებულებით... შემშურდა იმ ყმაწვილების მჭერმეტყველების უნარი, რომლებსაც ორ წუთში შეუძლიათ სათქმელი უთხრან ქალიშვილებს. შემშურდა და ხელი ჩავიქნიე. გადავწყვიტე აღარ მეფიქრა თათიანე.

სარბად დავეწყო სწავლას. წიგნები, წიგნები... წიგნები... კვირაში სამჯერ ტანვარჯისისთვის მოვიცდიდი, დანარჩენ დროს ლექციებზე და სამკითხველოში ვატარებდი. სკოლაში მიღებული ჩვევა აქცე გამომავდა: რამდენიმე რეფერატი დავეწერი, რომლებმაც მასწავლებლების ყურადღება მიიპყრო. მალე სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგებობაშიც ამირჩიეს. ვმუშაობდი და... რაღაც მაკლდა, მასწუხებდა, არ მასვენებდა. მოვიხედი... მარტო აღმოჩნდი. ცალკე — მე, ცალკე — თათია და დანარჩენი ამხანაგები. კურსი მხიარულად ცხოვრობდა, სიცოცხლით ჩქეფდა. იქ თათია იყო... მელნით მოსკრული თითები შუბლზე შემოვიწყე და... ისევ წიგნებში ჩავეფურე. ჯერ სწავლა, სწავლა... შემდეგ — შემდეგ განათობა.

ხანდახან ამოვყურებულდებოდი წიგნებიდან და ვგებდავდი, როგორ ვმორდებოდი თათიას თანდათან. იგი, სპეტაკი, მხიარული, სიცოცხლით სასვე, რატომღაც მიუწევდომელი მეჩვენებოდა.

სტუდენტურ ცხოვრებას აქვს თავისი კანონები. ამ კანონებმა პირი შეკრეს და თათიას სახით მომეცლინენ. თურმე, ამხანაგური გრძნობა მაკლია, რადგან ჯგუფთან ერთად სურათი არ გადადიოდა; თურმე, დიდი დანაშაული ჩამიდენია, რადგან კურსის კრება გავაცდინე. უკარება დამარტყეს, ვაფრთხილვებაც მომცეს.

ერთ შვენიერ დღეს კედლის ვახეთში საკმაოდ მწვავე კარკატურაც ვნახე — „მარტოხელა მწიგნობარი“. ოთახში ვზვიარდი, წიგნებში და რვეულებში ჩაფულავდი. მხატვარს, (მხატვარი კი თათია იყო!) არც გრძელი კომპილი დავიწყებოდა, არც აწეული საყელო. ხოლო პაპიროსი, ვეებერთელა, დაკლანილი პაპიროსი,

ფანჯარაში იყო გარჩილი და საკვამურით ბოლავდა. გაზეთს მიგწვდი, მაგრამ ხელი ცივ მინას მოხვდა...

გაიოზი შეჩერდა. შარვაღს მიწვდა, პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა.

— შემდეგ?

„შემდეგ?“ როგორ გითხრა. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. ეს შეურაცხყოფა იმდენად უფრო მძიმე იყო, რომ თათია... ერთი სიტყვით, თვითონაც მიხვდა. ათანაირი შურისძიებაზე ვფიქრობდი. სიამოვნებით წარმოვიდგენდი, თუ მომავალში როგორ ინანებდა თათია ჩემს წყენილებას. როგორ მოვიდოდა ჩემთან, და პატივებს მიხვდა. მე კი... მე ჯერ წარბს შევიკრავდი, ზედაც არ შეგხედავდი, ხოლო შემდეგ დიდსულოვნად გააპტივდი. იგი მკერდზე მომიკვებოდა და აქვითინდებოდა. ჯერჯერობით კი იძულებული ვიყავი ყველაფერი მომეთმინა. თათიას გავეურბოდი, გავეურბოდი და მაინც მისკენ მივიწვდი. — გული მეწყოლა. ჩემს თავზე ვბრახობდი და ვერაფერი გადამეწყვიტა. საკმაო იყო იმ გოგოს ერთი შემოხედვა და ბავშვივით უმწეო ვხდებოდი.

გავიდა წელი. ჩაიარა ზაფხულის არდადეგებმა და მეორე კურსზე თითქოს გამოცვლილი დავბრუნდი. საღალა იყო წინანდელი ყოყლოჩინა? ქორიოი ზომიერად შემიკვლია, საყულოც წესიერად მდგა. მხოლოდ პაპიროსს ვერ გადავიყვები. აღარც მარტოხელა მწიგნობარი ვიყავ, რადგან ამხანაგები ზვერი მყავდა და მეგობრებიც საკმაოდ. მხოლოდ თათია... კიდევ უფრო მიუწვდომელი მეჩვენა. რატომ? არ ვიცი. გადავწყვეტდი: აი, ახლა გამოვტყულები. ვეტყვი ყველაფერს. რაც გულში მაქვს, ყველაფერს ვეტყვი, მაგრამ... შევხვდებოდი და ენა აღარ შემორჩილებოდა, სიტყვები აღარ მყოფნიდა, სიტყვები, სიტყვები! იგი მომჩერებოდა თავისი ღრმა, დაბინდული თვალებით, მერე გადაიკისკისებდა, უცბად წარბს შეიკრავდა და წავიდი, გამშორდებოდა.

ერთხელ კიდევ დავღუმი, უკანასკნელად დავმუნჯდი თათიას სახლის სადარბაზო კარებთან და... ისევ ჩემს წიგნებში ჩავეფლეთ. რათა აღარასოდეს მეფიქრა მასზე.

მერე ის იყო, მესამე კურსიდან იგი კავკასიური ენების განყოფილებას გაჰყვია, მე კი ლიტერატურა ვარჩიე. ახლა უკვე იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს.

ხანდახან ამოვყურებულად მდებოდა და გაოცებული ვრწმუნდებოდი: გული სათათოდ აღარ მიცემდა. მზისგან გაქცეულ თხუნელასავით მიხაროდა და ისევ ჩავყვირებოდა ჩემს კონსპექტებში.

უნებერსიტეტიც დავამთავრეთ. თათია მასწავლებლად გაამწესეს საღალა. მე იქვე დამტოვე. დავემშვიდობე. ძეტი არაფერი... მხოლოდ, როდესაც ხელში ვიგრძენ მისი მტრედის ხუნდავით მთრთოლვარე ხელი, ისიც ვიგრძენ, — გული შეტოვდა.

ისევ სწავლა. ყურმოკვრით მესმოდა მის შესახებ. კვლავ შევერთებოდი და... ისევ არაფერი. მივიკრძალა: „ეს იყო სულ? ნუთუ დაჯარვე სიყვარული? სამუდამოდ გაცივდა გული?“

გაიოზი გაწმინდა. პაპიროსი გადაადგო. პირდაპირ შემომხედა და თქვა: — წელსაც გითხარ: პირველი სიყვარული იმ კარგ სიმღერას ჰგავს, გულში რომ ჩაგრჩება სამუდამოდ. იცოდე, ადრე თუ გვიან გულის კედლებს გადმოხედავს, ყელში მოგაწვება და... მე კი ყრუ მეგონა, კაცო, ჩემი თავი, მუნჯი მეგონა.

ისევ ვარწმუნდა და ხელი ჩაიქნია. მიგხვდი, რომ სათქმელი არ დამათვარა, მაგრამ აღარ ჩავძიე. ან კი რა უფლება მქონდა?

სანაპირო უკვე ხალხით ვაგესებულყო. ორი ქალიშვილი კისკისით გამოქცნენ აქაფებულ ტალღებს და როდესაც მათმა აელვარებულმა ტანებმა ჩავეჭიროლეს, აფხანდაბის სახეზე არც ერთი კუნთი არ შერჩებულა. მონუსხულივით იჯდა იგი და ერთ წერტილს გასცქეროდა. თვალი ვაგაყოლები. მოშორებით, ბილიკზე მალაღ ქალი ჩამოიღოდა. თეთრი კაბა ეცვოდა და სპეტაკი იყო, როგორც დათოვლილი ნაძვი. თინათინი ვიცანი. ხელში რაღაც ეჭირა. ცოტა ხანს შედგა, ეტყობოდა ჩვენ დაგვიანება. მერე მიბრუნდა და სანაპიროს იმ მხარეს გაჰყვია, საღალა და გვებერებოდა ლოდები ჰყრია, განმარტოებულთა სიყვარული აღვილი.

გაიოზი მოულოდნელად წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და, უსიტყვოდ, თინათინისაკენ გაემართა.

გულთან ვიწვექი ვახურებულ ქვიშაზე, ყურს ვუგდებდი ტალღების შრიასს და ვფიქრობდი ამ კაცზე, მის ნაამბობზე. დიდხანს ვფიქრობდი. არც კი მახსოვს როგორ ავდენილა და ნაპირს ვაგეყვი.

მოულოდნელად, ტალღების ხმაურში, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა მომესმა. ლოდების ხეივანში მიგსულვარ. ერთგან, ჩემსკენ ზურგმეტყევით, გაიოზი ვიცანი. მის პირდაპირ თაგზალუნული ქალი იჯდა. იქვე, ქვაზე, ვადამოლილი ალბომი იდო. გაიოზს ქალის ხელი თვის გარუჯულ მარჯვენაში ჩაებულჯა და ათრთოლებული ჩურჩულებდა.

— ჩემო თათია... თინათინ! ნუთუ გიყვარვარ? ისევ გიყვარვარ? მაშინაც გიყვარდი?

სწრაფად შევბრუნდი, და, რაც შეიძლებოდა, უხმაუროდ გავეცალე იქაურობას. ასეთ ბედნიერებას მოწმე არ უყვარს.

თინათინ... თათია... მივდიოდი, ცას და ქვეყანას შევხაროდი.

— რა გიხარია, კაცო? — შემაჩერა ერთმა ნაცნობმა.

რა უნდა მეპასუხა? მკლავში ხელი მოვკიდე და ეს ვუთხარი:

— რა მიხარია? აი, ეს მზე, ეს ზღვა და... სიყვარული.



რომან როლანი

რომან როლანი 1866 წლის 29 იანვარს დაიბადა. იგი დიდი ისტორიული და ინტელექტუალური ტრადიციების ატმოსფეროში აღიზარდა; ადრევე შეიყვარა გერმანული მუსიკა, შექსპირი, ტოლსტოი, — რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს მომავალი დიდი შემოქმედის ჩამოყალიბებაზე.

იმ ხანებში ფრანგული ლიტერატურა დეკადანსს განიცდიდა. მწერლობაში გამეფებული იყო დაცემულობისა და სექტიციზმის განწყობილება, ლიტერატურა მოწყვეტილი იყო ხალხს და ბურჟუაზიული ზედაყვინის ავადმყოფური განცდებისა და იდეების გამოხატულებას წარმოადგენდა.

პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად, მან ჩამოყალიბა ორკვირული ჟურნალი, რომელშიაც წლების განმავლობაში იბეჭდებოდა მისი დრამები, გმირული ბიოგრაფიები ბეთჰოვენისა, მიქელანჯელოსის, და მისი შემოქმედების მწვერვალად, ატლანტიკის რომანი „ჟან-ქრისტოფი“. ჟურნალი მცირე ტირაჟით გამოდიოდა, არ იყო არავითარი რეკლამა, არავითარი ჰმონარია, მაგრამ რ. როლანს კაცობრიობის სიყვარულის უანგარო გრძნობა ამოძრავებდა.

წარმოუდგენელი მოთმინებით წერდა მაშინ ყველაასთვის უცნობი მწერალი ნაწარმოებებს, რომლებმაც შემდეგ მთელი ეპოქა შექმნეს ევროპული ლიტერატურის ისტორიაში. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ რ. როლანის ნაწარმოებების გმირები ყოველთვის განსაკუთრებული გენიის ნიშნით აღბეჭდილი, სამაგალითო ადამიანები არიან. რ. როლანის დრამა რმწენით, ცხოვრება ტანჯვა-წვალების მთელი ციკლია და ქეშმარიტი ადამიანის სამაყო სახელის ღირსი მხოლოდ ის არის, ვინც თავისი გმირული სიცოცხლითა და შემოქმედებით დასძლევს ამ ტანჯვას და შეეცდება ადამიანზე შეუმსუბუქოს ცხოვრების მიმიტი ტვირთი. „იტანჯე, მოკვდი, მაგრამ იყავ, რაც უნდა იყვე — ადამიანი!“ — აი რ. როლანის ქეშმარიტად ობტისისტური მრწამსი.

„ჟან-ქრისტოფი“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში. ეს უხარმარია რომანი დაწერილია, როგორც გმირული სიმფონია, მის პირველ ნაწილში („არეოპოლი“, „დელია“, „სიყრმე“) აღწერილია, თუ როგორ

იზრდება და ვაჟაყადება გენიალური შემოქმედი, გმირი, რათა აუჯანყდეს სოციალური უკუღმართობის საზოგადოებას („ამბოხება“, „უაფანია“) და თავისი გენიის ძალით გაამხნევეს ადამიანები, განამტკიცოს სათნოება და სიყვარული („შინ“, „უწვივი მავლეოვანი“, „დღე მომავლისა“).

რ. როლანის მთელი ბიოგრაფია მისი პროგრესული იდეალების განხორციელებას წარმოადგენდა. პირველი ომპერიალისტური ომის წლებში იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო დასავლეთ ევროპის მწერალთა შორის, რომელმაც ენერგიულად აღიშალა ხმა უსამართლო ომის წინააღმდეგ. მშვიდობისა და ხალხთა სოლიდარობის იდეებს იგი ადრეც ქადაგებდა. თავის „ჟან-ქრისტოფში“ ამაოდ როდი დავიხატა გერმანიელი ჟან-ქრისტოფის, ფრანგი ოლივიესა და იტალიელი გრაციას სიმბოლური მეგობრობა.

რ. როლანი გულწრფელად მიხსლობდა წარმოადგენდა. პირველი ომის დროსა ამიერიდან საბჭოთა კავშირში ფრიალებდა. იგი დაუსტრომლად ებრძოდა ომის გამაჩნდებლებს და ფაშიზმის დაუბრუნებელი მტერი იყო. 1932 წელს მან, ანრი ბარბუსთან ერთად, მოიწვია ამსტერდამში მშვიდობის მომხრეთა პირველი კონგრესი.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დაწერილ მის ნაწარმოებთაგან უმნიშვნელოვანესია „მოკლადობის სული“, რომლის უკანასკნელი წიგნების სულისკვეთება ძალზე მახლობელია ჩვენთვის, კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიარაღებული მებრძოლებისათვის.

რ. როლანს ეკუთვნის მრავალი მაღალმხატვრული ნაწარმოები: ბიოგრაფიები ტოლსტოისა და განდისა, „პიერი და ლიუსი“, „კლერამბო“, „კოლა ბრიუნიონი“, რომელსაც მ. გორკი „ჩვენი ეპოქის ყველაზე განსაკვირვებულ წიგნს“ უწოდებდა, და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც კი შეუძლებელია ამ მოკლე წერილში. საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი, ჩვენი დროის უდიდესი ჰუმანისტური რომენ როლანი გარდაიცვალა ათი წლის წინ, 1944 წლის 30 დეკემბერს.

კარლო ძილარჯინი

კრწანისის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთვის წინასაღესაწყოლო დღეებში დაამთავრა კეთილმოწყობილი, ორსა სადგომიანი სადროის მშენებლობა.

სუფთა სადგომში წითელი ველის წმინდა ჯიშის ძროხები ოთხ რიგად ჩამჭკრივებულან ბაგეტის გასწვრივ. თვითეულ ბაგეტზე მოწყობილია ინდივიდუალური საბეჭდი, შიგა წყალსადენი, ავტოსამურბოთი და კანალიზაციით, საწველი გაყუთმ-მოსაღები ონკანებით. საკვებში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ნატალია პალიკი ძროხას წველიდა. ჩვენს კითხვასზე თუ რა ჯიშის ძროხაა, როდისაა დაბადებული, რამდენს იწველის, რას სჭამს და სხვა, ნატალიამ ბაგის თავზე ჩამოკიდებულ პატარა დაფაზე მიგვითხრა. დაფაზე სწერია: ძროხა "ჩაროდელისა", № 04, დაბადებული 1946 წელს, ცოცხალი წონა 510 კგ. მე-5-ე ლაქტაციისა, დღედაგრძელობა 24 კგ. წლიური წველაობა 3300 კგ. საშუალო ცხიმისაობა 3,5%, დღედაგრძეობა ეძლევა საკვები: თივა 5 კგ. ნაძვა 2 კგ. კონცენტრატული საკვები 4 კგ. წენიანი საკვები 50 კგ, მიწერალური საკვები 0,07 კგ.

ნატალია პალიკიანი ერთად 1954 წლის საკვებში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მოწინავე მწველეებმა ტასო მარაგსაკიამ, ეფროსინე კურჩიკომ, მელანია ზაბასკინამ და სხვებმა თვითეულ ძროხაზე წელიწადში საშუალოდ 3 ათასზე მეტი კილოგრამი რძე მიიღეს.

ახლად დაბადებული ხმორები სამშობაირო განყოფილებიდან გაყვანილი არიან პროფლაქტორიუმში, სადაც თვითეული ცალკე გალიაშია მოთავსებული.

სადროსში გათვალისწინებულია დამხმარე სათავსები, სახელობორ: საწველი დანადგარების სათავსი, საწველი აპარატების გასარეცხი და შესანახი სათავსი, მომსახურე პერსონალისათვის ტანისამოსის გასახდელი ოთახი — შხაბი, სპეციალისტების ოთახი და საკვების შესამზადებელი საამქრო ორი სასილოსე კოშკით. სპეციალისტების ოთახი მოთავსებულია მეორე სართულზე, იქიდან კარგად მოჩანს მთელი ბაგა. გათვალისწინებულია მოწყვრის რადიოგადაცემა საძროხეში; სპეციალისტებს საშუალება ექნებათ ესა თუ ის მითითება ან დავალება რადიოთი გადასცენ მომსახურე პერსონალს. საკვების შესამზადებელი საამქრო მოთავსებულია სარდაფში, აქ ამზადებენ ძირნაყოფებს, უხუმ და კონცენტრატულ საკვებს. შემზადებული საკვები სარდაფიდან ელექტრო ამწის საშუალებით ააქვთ ზედა სართულში — საიდანაც წარმოებს მისი დარიგება კომბინირებული ტრანსპორტით — განაბირა რიგებზე კიდური ცალკიანდაიანი ტრანსპორტით, ხოლო ცენტრალურ რიგებზე ელექტროკარის საშუალებით.

საკვების შესამზადებელ საამქროში გათვალისწინებულია ძირნაყოფების გარეცხვა, დაჭრა და დათუთვა, უხეში საკვების დაქუცმაცება და დათუთვა, კონცენტრატული საკვების — კობტონის დაქუცმაცება, მარცვლეულის დაფევა, თვის ფეცილის დამზადება, საკვების შერევა, საკვების ტრანსპორტირება და სხვ. კრწანისის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკების ამოცანაა მიაღწიონ შრომატევადი საშუალებების კომპლექსურ მექანიზაციას, მექანიზაციის ახალი, უფრო სრულყოფილი და ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, რათა უზრუნველყონ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება და მაქსიმალურად გაზარდონ მომსახურე პერსონალის შრომისნაყოფიერება.

ბ. გიგიუშვილი

სისხლის დენის შესაჩერებელი ახალი ლახტი

სისხლის დენასთან ბრძოლის საკითხი ისევე ძველია, როგორც ადამიანის არსებობის ისტორია. ადამიანი ველურ მდგომარეობაშიც კი ეძებდა სისხლის დენის შეჩერების საშუალებებს, რადგან იგი ხშირად იღუპებოდა მისგან.

მედიცინაში ცნობილია სისხლის დენის შესაჩერებელი სამასამდე ლახტი. მიუხედავად ლახტების ასეთი სიმრავლისა, არც ერთი მათგანი პრაქტიკაში არ ამართლებს თავის დანიშნულებას და ამიტომაც მტკიცედ ვერ დამკვიდრდნენ.

საღვთისმშობელ უპირატესად ხმარებაშია ესმარხის ლახტი, რაც სრულიად არ შეეფერება მედიცინის და განსაკუთრებით ქირურგიის განვითარების დღევანდელ დონეს.

ჯერ კიდევ სამამულო ომში ყოფნისას (1943 — 1945 წ.წ.) მედიცინის მეცნიერებთა კანდიდატი ანატოლი ტოგონიძე შეეცადა მოეწოდებინა მარტივი კონსტრუქციის სისხლის დენის შესაჩერებელი რეზინის ლახტი, ორიგინალური საფიქსაციო აბზინდით.

ანატოლის მიერ მოწოდებული სისხლის შემჩერებელი ლახტი პორტატულია. მისი აბზინდი დამზადებულია დურალუმინისაგან, იწონის მთავრად და აქვს X ფორმა. აბზინდის

ორი თანაბარ ზომის ნახევარი შეერთებულია ერთმანეთთან მ სანტიმეტრიანი სიგრძის ღერძით. ღერძის ორივე მოპირდაპირე მხარეს აქვს ჩანაჭდევი დაახლოებით 2 მილიმეტრის სიდიდისა, რომელშიაც თავისუფლად უნდა გადიოდეს სამი მილიმეტრის სისქის რეზინის ღვდი, ჯერ ერთ ჩანაჭდევიში, მერე მეორეში, სადაც იგი საბოლოოდ ფიქსირდება.

რეზინის ორფენად შემოხვევა ქვემო კიდურზედ სრულიად საკმარისია, მთავარი სისხლის ძარღვიდან სისხლის დენის შეჩერებისათვის. ლახტის დადებაც და მოხსნაც ისე ადვილად და სწრაფად ხდება, რომ საჭიროებისას მისი მოხმარება თვით დაზარალებულსაც შეუძლია, რაც ლახტის ერთ-ერთი ღირსებაა.

აღნიშნული ლახტი გამოცდილი იქნა მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის დიდ კლინიკებში, სადაც კარგი შეფასება მიიღო და სათანადო საავტორო უფლებაც მიენიჭა მის ავტორს.

1950 წლიდან კლინიკა, რომელსაც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. დ. იოსელიანი ხელმძღვანელობს, პრაქტიკულად იყენებს მას ოპერაციებისა და ქირურგიულ მანიპულაციების დროს.

აღნიშნული ლახტი თავის მარტვი და იოლი გამოყენებითი თვისების გამო შეიძლება ამჟამად ხმარებულ სხვა ლახტებზედ წინ დავაყენოთ.

აღნიშნული ლახტი თავის მარტვი და იოლი გამოყენებითი თვისების გამო შეიძლება ამჟამად ხმარებულ სხვა ლახტებზედ წინ დავაყენოთ.

ფ. გორდუნიანი

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ქარხნის კოლექტივი წილად ხვდა საპატიო ამოცანა — უხსტი ხელსაწყოები მიაწოდოს ჩინეთს, რუმინეთს, პოლონეთს, ალბანეთს, ჩეხოსლოვაკიას, ბულგარეთს და უნგრეთს. ქარხნის კოლექტივის სახელმძღვანელოდ უნდა ითქვას, რომ ქარხანამ დირსეულად შეასრულა 1954 წლის დავალება, ხელსაწყოების უკანასკნელი პარტია გაგზავნილი იქნა ჩინეთში 1 დეკემბერს და ამით წლიური დავალება ერთი თვით ადრე შესრულდა.

ალანაშნავია, რომ ქარხანა სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებში მაგ.: მარტო 1954 წელს ქარხანამ მონაწილეობა მიიღო: ვენის, მილანის, ლიონის, დამსკოს (სირია), პეკინის, არგენტინის და სხვა გამოფენებში, ხელსაწყოები თბილისის

პერიოდულად შეაკეთებდა და შეამოწმებდა. ამ მიზნით 1928 წელს აქწყალთა მეურნეობის ინსტიტუტთან შეიქმნა პატარა სახელოსნო.

ჰიდრომეტეოროლოგიურ მშენებლობათა ტექნიკის იმატა მწველ-იგროზობადა ხელსაწყოების წაკლებობა. ქარხნის ძველი მუშები პ. საფაროვი, შ. ერაძე, ვ. პოპოვი, შ. ხუციშვილი და სხვები იგროზობა, თუ როგორ გაუმედავად სცადეს მათ პირველად დემონსტრირება ახალი ჰიდრომეტრული ტრიალი.

პირველი ცდა ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. წარმატებით გამხსნვებული ადამიანები ახლა ნიველირის დამზადებას შეუდგნენ. ნიველირის თეოდოლიტი მოჰყვა. შემდეგ წყლის დონის თვითმწერი (ლიმინგრაფი) იქნა ათვისებული.

1933 წლის ბოლოსთვის სახელოსნო საკრძობლად გაიზარდა და ათვისებული ხელსაწყოების რიცხვმაც იმატა. არსებულ ბაზაზე შესაძლებელი შეიქმნა ზუსტი ხელსაწყოების ქარხნის შექმნა.

თავის არსებობის 25 წლის მანძილზე ქარხანამ ათვისა 100-მდე ხელსაწყო. ყველა მათგანი უახლესი საბჭოთა კონსტრუქციისაა.

ქარხნის კოლექტივი დამსახურებულად ამაყოფს თავისი მოწინავე ადამიანებით, ზოგმა მათგანმა საწარმოო ნათლობა აქ მიიღო — მუშაობა ქარხანაში მოწინავეობით დაიწყო და ახლა უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია. ასეთია, მაგალითად, ოპტიკომექანიკოსი პავლე საფაროვი, ის ქარხანაში 25 წელია მუშაობს და თითქმის ყველა ახალი ხელსაწყო ათვისებდა მისი მონაწილეობით მომხდარა. ქარხნის მოწინავე ტახანოველები არიან: შ. ხუციშვილი, ალ. კარმავი, ნ. არინი, დ. კლდიაშვილი, და სხვ. ისინი გეგმებს 250-300% ასრულებენ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას იძლევიან. ქარხნის საუკეთე-



ოპტიკომექანიკოსი პავლე საფაროვი.



ოსტატი რ. მკველიძე და ინჟინერი ლ. დრამოვი ხელსაწყოებს აგზავნიან ჩინეთში.

მარკით ამშვენებდა საბჭოთა პავილიონებს ჩამოთვლილი გამოფენებზე, ხოლო საბჭოთა პავილიონები ხომ ყველგან საუკეთესო იყო, როგორც ამას აღიარებდა ბურჟუაზიული პრესაც.

დაპყრობებო საზღვარგარეთ გასავანად გამოადებულ მინიატიურულ ლამაზ ხელსაწყოების მორიგ პარტიას და გაგონდებთ ამ პატარა ქარხნის ისტორია. ეს ისტორია არ ჰგავს სხვა ქარხნების ისტორიას. ქარხანამ მუშაობა ერთი მუშით და ერთი ჩარხით დაიწყო. საქართველოში ჰიდრო და საირიგაციო მშენებლობათა გაშლის შედეგად, პირველი ხუთწლედის დასაწყისშივე მწველდ წამოიჭრა საკითხი ისეთი სახელოსნოს შექმნის შესახებ, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოტანილ ჰიდრომეტრულ ხელსაწყოებს

სო ადამიანებია: ოსტატები ალ. ოლო-საშვილი და რ. აპრიკოვი.

ოცი წლის წინათ შეგიქმნა დაიწყო ქარხანაში მუშაობა კოტე სვანიშვილმა, ოთხი წელი სამამულო ომის ფრონტებზე გაატარა და სამშობლოს წინაშე ვალმობილი, მთავრობის შვიდი ჯილდოთი მეკრდამშენებული, ისევე მშობლიური ქარხნის დაუბრუნდა. ახლა ის ქარხნის საუკეთესო მღარავია.

ოთხმეტი წლის, თითქმის ბავშვი მოვიდა ქარხანაში სამამულო ომის დღეებში ილია გამჯავშილი, ახლა ის ქარხნის საუკეთესო ხარატი.

ქარხნის კოლექტივი სამაყის და პასუხისმგებლობის გრძობით ასრულებს ყოველ ახალ დავეთას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის.

უ. გუარაბანიძე



კადარნიუნიკოი მერიოდიეტი

ქრონიკელი
გიორგიოიკი

ჯახანზად ნაღარიპილი

ავალიშვილისეული „გვეზისტყალისნი“ თუ ქართული ფსალმუნის მინიატიურებზე ძველ მხატვრებს წინამორბედობის მიხედვით და ფეხმორთხმული მერხანვე მგოსნები გამოუსახავთ. მოცეკვავეს გარსემორტყმული, ისინი ჩანგსა, წინწილასა და სალამურზე „საცეკურს“ აბრუნებენ“ და ტერფის ძნელმეხამრევი მოძრაობით ითვლიან ტაქტს. კომპოზიციურად უფრო რთული სანახაობაა წარმოდგენილი სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე. „ჭაბუკნი და ქალწული, მოხუცებული ყრმათათნა“ დროსტარებას მისცემთ. მოღვინის ამ სურათსაც მუსიკალური აკომპანიმენტი მოუცილებდად თან ახლავს.

ფრესკის ცენტრში მრკავე ქალეზი ზედმომხული ფერხული ჩაუბამთ, უკან პლანზე მომღერალი მამაკაცები მოჩანან, ხოლო მოცეკვავეთა ორივე მხარეს მესაკრავეთა მწყობრი მითავსებულა, რაც ჩამოსაკრავი, საცემელი და ჩასაბერი საკრავების თავისებური განლაგებით თანამედროვე სიმფონიის ორკესტრის თავისებურ ჩანასახადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

უფრო რელიეფურად მოჩანს მეფერხულე ქალთა სამეული, რომელთაც სამაია დაუბამთ. ოსტატის ისინი გაბედული რაკურსით დაუხატავს. ქალებს გადაჯვარებული ხელები დაბლა დაუშვიათ და თავსაბურავის ბოლოები მკერდზე ერხვათ.

ჩვენი თვალი ინსტრუქტურად აღადგენს მათს შემდეგ მოსალოდნელ მოძრაობას. წაიცი და ალბათ, ისინი მხრებით ერთმანეთს აკერებენ, ხელებს ზეაღაპრობენ და ვეზის წვერებზე წამოწეული პლასტიურად განასახიერებენ ადამიანის სულიერი სწრაფვის იმ დიდებულ სურათს, რომელიც საუკუნით გვიან გოთური ტაძრის თაღებს უნდა გამოეხატათ. ქართველმა ხელოვნებმა ნახეს ეს ფრესკა და სცადეს მისი გაეცხლებია. მათ კედლის მხატვრობა, მიწაზე, სცენაზე ჩამოიტანეს და როდესაც ბუქარესტში ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე მრავალათასიან მაცურებელს აჩვენეს, საერთო აღტაცება გამოიწვიეს.

ასე ირხვევან ალბები თრიალეთში, როცა ნიავი მათ კენწერობეს შეატაკებს. მხოლოდ ტოტები ირხევიან...

ასე გადარჩა კონტურის მრავალფეროვნებითა და კეთილშობილებით აღმშენილი ეს გრაციული ქართული ცეკვა. მაგრამ, როდესაც საქმე მუსიკას შეეხება ფრესკების ნახვა ძალიან ცოტას ნიშნავს. უყურებთ ამ ფერწასულ სურათებს და ბუნებრივია, უნებლიედ იკითხავთ კიდევ: რას ამღერებდა ხალხი ამკამად სამუზეუმოდ ქცეულ ამ საკრავებზე. სად გაქრხენ ეს მელოდიები და ქართულ ოქრომჭედლებსავით სად გაიფანტნენ ხალხურ საკრავთა მკეთებლები — დგნალის თუ ღვინის საფანდურზე ხეს წლობით რომ ამრობდნენ და მცენარესაც ენას ამოადგმევენდნენ?

არა ნაკლებ ფაქიზ ხელობად მიაჩნდათ ძველად მუსიკოს-შემსრულებლის ოსტატობა. ქართულ ხალხურ მუსიკის თავისებურ სინთეზში — მუსიკის, სიტყვისა და ჟესტის დიდებულ შერწყმაში მუსიკოს-შემსრულებელს წამყვანი ადგილი ეკავა. მათი შესრულების არაჩვეულებრივმა ხელოვნებამ ბევრი ნამდვილი ამბავი თქმულებად აქცია.

ხალხური მუსიკა მელოდიური თემების დიდი სი-



ჭარბით გამოირჩევა. მელოდია როგორც მუსიკალური სიუჟეტი მთლიანად გასდევს ხოლმე მთელ სურათს და ზოგჯერ უჩვეულო ბრწყინვალეობას აღწევს. მაგრამ სიცხადეს არასოდეს არ ჰკარავს. გასაგებია, რა ძნელი საქმე ეკისრებოდა ინსტრუმენტალისტ შემსრულებლებს, რომელთაც ხალხის სმენამდე ისევე გულუბრყვილოდ და ბუნებრივად უნდა მიეცათ, ესა თუ ის პასივი, როგორც მოშირეებს თავისი დღეის მიჰქონდათ.

ასეთ ვირტუოზებს კანტიკუნტად დღესაც შევხვდებით ბოდბისა და თელეთის ბაზრობებზე. მაგრამ დაკვირის მათ ხელოვნებას თანდათან ქალაქური მუსიკა წამოეპარა. რიტმების თვითნებური ცვლა ჩვეულებრივ ამაღ დაქცა. ხალხური მუსიკის თვითნაბადი ქსოვილი თანდათან ვაჟფორმებდა. ხალხური სიმღერები დავიწყებინა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მუსიკალური ფოლკლორის დარგში მომუშავე ქართველი კომპოზიტორების და ლიტურგების სათუთმა გემოვნებამ და დაუღალავმა მუშაობამ შთამომავლობას მრავალი, აქამდე მივიწყებული ხალხური მელოდია შემოუნახა.

მარიამ არჯვენიშვილმა შემოქმედების საინტერესო გზა განვლო ხალხური სიმღერების ჩამწერიდან ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე — კომპოზიტორამდე. საკმარისია სულ რამდენიმე ხანი დაკვირდეთ მასთან, რათა დარწმუნდით, რომ იგი ხალხური მუსიკითა სუნთქავს და მისი ოცნებები ისევე და ისევე ამ ხალხური სავანძურის გარშემო ტრიალებს. ხშირად მომხდარა, შუა ზამთარში, სრულიად უღროს დროს, მას კახეთში წასვლა განუზრახავს: „რა ექნა, ენისლედი გიო ნასყიდაშვილი ერთი ძველისძველი დამღერების მოსმენას დამპირდა და ივლისამდე რა მომათმინებოს“. იგი არ ჰკარავს შემოხვევას ხალხური მელოდია ისევე და ისევე ხალხისგან მოისმინოს, რადგან ნოტივით სანახევროდაც ვერ ხერხდება იმ ნიუანსების გადმოცემა, რაც ამ სიმღერებს აქვთ. მარიამის ყვარული თუ ალვანელი ნაცნობები უმეტესად ოთხხმოვანად ველს მოღწეული მოხუცები არიან და მარიამსაც ეჩქარება... როგორც თვითონ იტყვის „დღე, მათ ნურაფერი გასჭირებიათ, თორემ მათთან ერთად მრავალი ქართული სიმღერაც სამუდამოდ დაიკარგებოდა“. 1945 წელს თავისი ანსამბლით თუშეთს ყოფინას მას კითხვა-კითხვით მიუგინა ოთხმოცდაათი წლის მოდალავე სულაკაურისთვის „დალაი“ უთქმევინებია. თავდაპირველად სულაკაური ცივ უარზე მდგარა „ჯვარი აქაურობას... უმიცვალეპელოდ „დალაი“ რა მათქმევინებოს“. ბოლოს კი სიმღერასთან ერთად დალაოზის მთელი სურათი ჩაუწერინებია. მოდალაგის ნაამბობს მარიამი ისე მოუხიბლია, რომ მოქმედების მთელი ფონი ფანდურებისთვის დაუფუშვებია და ერთხმინაი მთის სიმღერა კიდევ უფრო გაუცოცხლებია.

მარიამი ბავშვობაში მრავალ ხალხურ სანახაობას დასწრება და ცეკვა-თამაშით ეზოდან ეზოში დამავალ ქალთა მარაქაში გარეული, კარდაკარ გაჰყოლია სამ-ოთხ პირად ჩაბმულ მეგობრულეებს.

სწორედ ამ ქალთა ნამღერ „დიდების“ დღემდე უცნობი ვარიანტი გადაგვირჩინა მარიამის სმენამ. მარიამი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო ხელოვნების ეუფლებოდა, როცა გარდასულ ბავშვურ წარმოდგენათა ნოტივზე გადატანა სცადა. სწავლასთან ერთად იგი ხალხური სიმღერების შეგროვებასაც აწარმოებს. — ფოლკლორისტის უცნაური ალღო აქვს მარიამს. ხალხის თავშესაყარ ადგილებში იგი მაშინ მიდის, როცა სხვები უკან ბრუნდებიან... გვიან შედამეხულე მიდის და არცა ნანობს. იცის მარიამმა ადღეგებისა და ექსტაზის ფასი. ამ დროს მომღერლები უფრო პირდაპირნი და უშუალონი არიან. ცაზე უკვე საგამთენიე-ბო ფერები აიშალენ, მარიამს კი ჯერაც არაფერი ჩაუწერია. უცერად, ერთი ხანში შესული დედაბერი იქვე ჩამჯდარ ქალაქელ მეგარმონეს მიუახლოვდება. მოურიღებლად შეუტებს: — ე, მაგას რას აწრიბინებ-

თო, სიმღერებს რასა ღრეცავით — და ხელიდან საკრავს გამოსტაცებს. მერე თვითონ ისე მოხდენილად დააბრუნებს „ცეკურს“, რომ მარიამი სახტად დარჩება. დედაბერი სრულიად უცნობ „გაგაზურ“ საცეკაოს უკრავს. მარიამის დღიურში კიდევ ერთი ახალი მელოდია ჩაიწერება. ამ ლალად, მოსხლებილად დაკრულ საცეკვაოში ტაქტი ისე ბუნებრივად იცვლებოდა თითქოს მას თვით ადამიანის შინაგანი მღელვარე რიტმი მართავდა.

მარიამმა სცადა „გაგაზურის“ წამღერება, მაგრამ ის ეშხი, რომელიც საკრავზე დაკრულ საცეკვაოს ჰქონდა, სრულიად დაიკარგა. მან შეიყვარა ხალხური საკრავები, რომლებიც ასეთი თავნება, მიუღლო-მელნი აღმოჩნდნენ. იგი ხარბად სწავლობს ხალხურ საკრავების თავისებურებებს და დაკვირის ოსტატობას ასწავლის თვითმოქმედების წრეებსა და ანსამბლებში.

საკრავიერი მუსიკის სოციალური მას კიდევ უფრო გაუღვივა მწყემსებთან სიხლოვემე. ამ ხალხს შეუძლია ბუნების შეუმჩნეველი კონტრასტები მომხიბლავ მუსიკალურ პარმონიში გადმოსცენ. მათ პარმონიას ხომ თვით ბუნება აძლევს მზამზარეულად და სამშობლოს ბუნების სიტუაციით აღტაცებულ მთიელ მწყემსებსაც სხვა არაფერი დარჩენიათ სალამურსა თუ ფანდურზე ამ სურათების გადაღების გარდა. ხშირად გაიკონებთ მათგან: რასაც ვხედავთ იმას ვუკრავთ. ამ ხალხური მუსიკალური ფორმების შემქმნის პროცესი მეტად თავისებურია. მას ხალხის გენია და არა ვინმეს აჩემა აქცევს ტრადიციად. თუმცა ხალხური გემოვნება ბრმად არ მისდევს კანონებს. იგი ხშირად ითმევს კიდევ მათ დარღვევას. თუკი მუსიკოსის სითამამე თვით ამ კანონების შევსება-გამდიდრებას მოასწავებს. მაგრამ ეს სითამამე არასოდეს თავაშვებულვებში არ გადადის — მათ სწამთ, რომ უამისოდაც გააგებინებენ ხალხს თავის გულისხმავს.

წარმოიდგინეთ ძველი ქართლი. მოედნის შუაგულში ხალხით ვარშემორტყმული მესტიერი, რომელიც, იქვე, განზე გამდგარი დიდებულების გასაკილად ფიფიაობიან ქარასახვს „ლილიურ“ ლექსს მღერის. მეფანდურეს შაირი ისე უხსტად შეუხამებია კადეცის მოთოფნილვასთან, ვეგონებთ მუსიკალური და სასაუბრო აქცენტი ერთმანეთს დემთხვათ. სიმღერის ნატურალური სილაბური დქციით იგი იშგვარი მოურიღებლობით და სიღინჯით ურტყამს მებატონეებს, თითქოს სიცილი დავიწყებოდეს.

„დღეს წურებლა გამწყადარა, სოფელს მოჰკიდებიათ...“ უეცრად აქა-იქ ვილაგას სიცილი უსკლება, მერე სიცილი ფრთას შეისხამს და ხალხის ხარხარად მოვარდება. მეფანდურე ახლა კი სიამოვნებით, ემბაყურად ჭუჭუაგს თვალვებს: მან საწვალელს მიაღწია, ხალხის ფიქრებს მიაგნო, აიყოლია და ახლა ვეღარავინ გააჩერებს. ყოველი შემდეგი შაირის რეფრენზე ხალხის სიცილი ისმის, როგორც აკომპანიმენტის ბუნებრივი გავრცელება.

ვინც ქართულ ჭიდაობას დასწრება, ეხსომება როგორ აწყვდება ხალხს წრეს და თუ ვინ მდგომებმა არ უჯანს, ალბათ მოჭიდავებს ზედ წაადგება. ხალხს უმთავრესად ჭიდაობის სურათი, მოძრაობითა და ჟესტებით აღსავსე ადამიანთა ნახატი აინტერესებს, თორემ ფალავის სახეის გავება საღამოს სოფლის ბიჭებისაგანაც შეიძლება... ამ დროს ჩვეულებრივზე კენტიით მაღლა აწყობოლი ფანდური და დაფა-ზურნა თავგამოდებით ცდილობენ მელოდია ჭიდაობის ნახატს შეუსატყვისონ.

სცადეთ გამოიცინთ, რა გამოგონებლობას მიმართავენ ისინი, როდესაც მოქმედებით ფანდის შეცვლისას წამით შეისვენებენ. ამ დროს მელოდია როდი წყდება, პირიქით, უდიდეს ბრწყინვალეობას აღწევს. მარიამს ჩაუწერია და თავისებურად დაუმუშავებია ეს სურათი, მას ხალხური იმპროვიზირე-



ბული მელიოდა უბრალო მიზაძვიდან მუსიკად გარდაქმნილია.

თემის მელიოდიური დამუშავებით გამოირჩევა არჯენიშვილის საკუთარი შემოქმედებაც. ყაღორელი მწვემების შეხედვრისა თუ სამკორში ხევესურთა ჩამოსახლების სურათებში იგი არასდროს არ ენდობა აბსტრაქტულ ინტონაციებს და ცდილობს მუდამ ახლოს იყოს ხალხურ მუსიკასთან.

საშუალო საუკუნეების ქართული მუსიკა უკვე ანსხვავებს საკრავთა რამდენიმე მწვემბრს, როგორცაა სალხინო (ჩანგი, ბარბითი და ნაი), სამხედრო საკრავთა (ბუქ-ტაბლაკები) და ასე ვასინჯეთ საპატიო სტუმრის მოსვლის აღსანიშნავ ცალკე მწვემბრსაც.

საკრავთა ასეთი ნაირგვარობით ადრევე დაინტერესებულა მარიამი. შეუბღალავი ქართული ქვეყნობის სწორედ მათ მიერ გამოცემულ მუსიკაში უგრძობია და ამ საკრავთა გაცოცხლება უცდია. მთისა თუ ბარის კილოკავების თვისებურებათა გამოსავლინებლად მან ყველაზე საიმედოდ ზედ ხალხში დღემდე შემონახულ ინსტრუმენტების შეუცვლელი სახით გამოყენება მიიჩნია. ჯერ გავიგოთ მათი ნამდვილი სახე, შეცვლას კი ყოველთვის მოვეცდებით, — ფიქრობდა იგი. ამ მიზნით მან შემოიარა აღმოსავლეთ საქართველოს მრავალი კუთხე და ფანდურის სრულიად ახალ წყობას მიაგნო. ამ მოგზაურობის დროსვე, ერთი კახელი მანდილოსნის ოჯახში შემთხვევით წაასრულა „ილიასეული“ დაიარსა. ამ მოხუც ქალს ორმოციოდე წლის წინათ ამ დაირაზე „ილიაობაში“ დაუკრავს და ხალხისთვის მარტო ესეც კი კმარადა დაირა ილიასეულად მიეჩნიათ. მარიამმა კახის კალთით საგანგებოდ გასწვინდა დაირა და მოწიწებით დაუკრა. რკალზე გადაკრული ხარის ფაშვი ჩრდილში გდებით ოღნავ მოშვებულებით, მაგრამ ცეცხლზე მიუფიცებულად დიდებულ ხმას გამოსცემდა. მარიამი დაკვირვების ეშში მოსულა, თან ფიქრებს გაუტაცენია, — რით შეიძლებოდა მოეხიზლა ამ საკრავს ილია?... და თერთნეე უპასუხნია, — გულითა, გაშლილი ქვეყნობით, რაც მას აღმოსავლურ მომცრო დაირებისაგან განსხვავებს.

სალამურზე დაკვირვებამ მას გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორ დ. არაყიშვილთან ერთ დროს დავაც კი გააბედინა: საქართველოს მთის კოლორიტს ყველაზე მეტად სალამური გადმოსცემს და იგი ერთნულ საკრავად უნდა მივიჩნიოთ. დასკვნებში აუჩქარებელი აკადემიკოსის სკეპტიციზმად მიიჩნია მან მსცოვანი კომპოზიტორის ეჭვები, — ქართული ბუკოლიკური ილილის ისეთ შედეგშიც კი, როგორც „ქაცვია მწვემსია“, სალამური არც კი ისენება, მოდი ჩვენც მის ქართულ წარმოშობაზე თავი შევიკავოთ, გულში კი მაინც გაჰხარება ახალგაზრდა მუსიკოსის ასეთი სიყვარული ხალხური საკრავებისადმი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მცხეთაში, არქეოლოგიური გათხრების დროს, ერთ-ერთ სამარხში ფრინველის ძვლისაგან დამზადებული სამთვლიანი უენო სალამური აღმოჩენილია. ქართულ მუსიკაში სალამურის გამოყენების თარიღმა, უეცრად ათეული საუკუნით წინ გადაიწია.

დ. არაყიშვილს თვითონ მოუძებნია მარიამი, ალერსით ხელი დაუკრავს და მიულოცენია მისი ვარაუდის ასეთნაირად ახლომა.

დიდხანს დასცქეროდა მარიამი ამ იდუმალეხით მოცულ საკრავს, რომლის თვლები დროთა სვლას სანახევროდ მიწით ამოვესო. თანამედროვე სალამური მასთან შედარებით მხოლოდ ოთხი თვლით შეცვლილიყო. ეს კი განვილი ათასწლეულებისთვის მეტად უმნიშვნელო ცვლილება იყო. მარიამს გული არ უთმენდა, სურდა ამ უმეღესი სალამურის წყობისა და ტემპრის გაგება. ეს მხოლოდ გასულ ზაფხულში მოხერხდა, როდესაც მარიამის ანსამბლში ქიზიყელი მწვემბრ-მესალამურე, გიორგი მენტეშაშვილი მოვიდა. გიორგის ცოტა არ იყოს გასჭირებია დაკვრა. მუზეუმის თანამშრომლები ერთთავად ხელში შესციინებდნენ — არიქა, ფრთხილად, არ გაევიარდეს, არ დაგვლუპოვო. ამ დავიდარბაში გიორგის როგორც იქნა სალამურისთვის ტურები მოურგია და ჩაუბერია, მაგრამ ყრუდ დადგრინებული ბგერების მეტს სალამურს ვერაფერს გამორჩენია. სატურე ღრუში გალქონილი ჭინჭის ნაცვლად მტვერი და მიწა დადებულეყო — და დაკვრას აჭირვებდა. წამოსვლისას კიდეც უცდია, ერთხელაც ჩაუბერია და თითქოს სალამურს ათასწლეული ბოლმა აჰყარესო, წკრიალა, სტვინზე აყვანილ გამოვივან ხმას შეუქმია იქაურობა. — სალამური მწვემსი ბიჭისაა, — უთქვამს გიორგის და იქ დამსწრეთა წარმოდგენაში იმ პატარა ბიჭის სახე გაუცოცხლებია, რომელიც ერთ-ერთ ქართულ ზღაპარში გაჭირვების ქამს „სანიშნო“ ძანხლს ისეთნაირად უკრავდა, თურმე „ცხრა მთას იქით“ ბირუტყვსაც გაავონებდა.

მარიამი მხოლოდ საკრავებზე როდი ზრუნავს. გიორგისთანა უბადლო ოსტატები თითხე ჩამოსათვლელია და მარიამიც თავის გარშემო იკრებს, უფრთხილდება მათ.

შოთა ნიშნიანიძე

ახალი შეკრება

ალაგ ლობეზებად ფერდილი, გადათელილი, გადამტვერილი, ხევში პატარა გზაჯვარედინი გაჩახულიყო მკარატელივით.

კლდეებს გრილით მოწყდა მეწყერი, მთა რომ გაფატრეს საიალადე, მერე ჯგანართ სავსე ეწერი ცეცხლის ენებმა წაიბალახეს.

მერე შეატრეს ეზოებს კალთა, — პატარა შუქამ გაშალა ფრთები (მართლა მკარატლის დაკეცვას გავდა ეს შეერთება გაყრილი გზების).

და აღარ იყო დრო დაყოვნების, შრომის დროს, განა ჩრდილში მოცდებოთ.

და წისქვილამდე გზის ჩაყოლებით ჩამოარბევს ფიჭვის ბოძები.

და ყოველ ბოძზე შუშის ბუდეში მზის ელვარების დაწერტლებით ღამის ათევენ ცეცხლის ჩიტები ელსადგურისგან დაჩეკილები.

და შა, ლარივით სწორი შარავნა ადვენებია მთას სერებიანს, და ძირს ფარივით დაგდებულ მინდორს გულზე შუბივით დასძვგერბია.

დაღამდება და ჩემი სოფელიც ცას ვარსკვლავიანს დაქვიდება, არის სიმღერით შესამკობელი სოფლების შრომა და ბეჯითობა.

ბიძინა წიკლაყი

ნაგვრა კვლავ ნაგვრად დამრჩება

არა მგერია ნამვალი ორი და მეტი წელია, განა მიტომ რომ სამკალი მშრომელ კაცს შემომგელია?! ოქროს თავთავა ყანებმა გადაგანათეს კახეთო, ძალა არ დამენანება, ოღონდ სამკალი დაგხელთო. ნატვრა მქონდა და ამხნდა, სოფლის ისევე მოუველ, ყანებო, საღა წამიხვალთ, მკლავებს გიჩვენებთ მოუღლელს.

ფიცით შეკრულნი ძნასავით, ათნი ზღვაყანას დავეკლავთ, წამოვალთ მინდიასავით, შემოვიჭრებთ ცალ-ცალდ... ეს რა გუგუნი მოვარდა, გადმოუარა ლელიანს, დაჰქუხა შეუპოვარად, „შოაუნ“ რა სათქმელია. ჯობია რომ გზა ვუგანო, — დაჩრდილა ჩემი მარჯვენა, — ჰე, კომბანიო, შენს გამო ნატვრა კვლავ ნატვრად დამრჩება.

ანტორ აზულაშვილი

ჩანახამი მამაკაბლიდან

ცას დაეკიდა ქედი ღრუბლითა, ჩამოეშალა უხვად სინათლე. და ალაზნის ლურჯი უბიდან ცისარტყელები წამოიშარნენ. მთისკენ მიიწვეს ტყე დაფენილი, და შორით მოჩანს, როგორც მზის თვალი — გაშუქებული კომშის ფერივით იალაღები გაუთიხავი. ლურჯს მოუპარავს თეთრი ნაპირი, ხევში ნისლია, მთებზე მთებია... ბავშვი კუბუში ტირილს აპირებს და იავნანს იწყებს ზებია.



ცარიელ ქანცეჭრია

ნაღირობა

გუგულების: გუგუ-გუგუ, ტორილების: ტია-ტია... ველს უყურებ — ლამაზია, მთას განედავ — დაიდა. ლერწამსა და ვაზის ლერწებს მზე ბავშვივით უაღვრესებს, სიცოცხლე დუღს! არ მიხსენოთ სიკვდილი და დამინება... — ჩუ, შეგვინაა! აფრთხილდა, წამოფრინდა, დავუმიხენ, ვესროლდე და... სწორი გითხრათ, არც მწვენია დაცვილება.

უნდა ტევრი გაკაფონ და საყანე მოღობონ, შენ რას იტყვი, კაკაბო, შენ რას იზამ, ხოხობო. მივაშურებთ სხვა მხარეს, ჯავიანს და დობიროს, მწვერო, შენ გაიხარე, ჯეჯილები ღობილო...

გრიგოლ გვამბია

ისევ ამ ქედებთან მოვედი

ისევ ამ ქედებთან მოვედი, ველებს რომ ადგა დარაჯად, მე მათზე ვოცნებობ ყოველთვის, მე მათზე ვიმღერი მარად უამს. დამყვება ბარიდან — ბარამდი ზღვა სიხარული და სინათლე, ამ მიწამ იხაროს მარადის და ახე მარადის ბრწყინავდეს.



ტყელები და უმარლო, ხარაგაულისა ან ზესტაფონის, — ასე დააბარა დედამ.

მზესუმზირას ზეთი, ახალი კარაქი, რძე უმი თუ ცხელი, მაწონი ქილისა თუ კობნოსი, ძეხვი „სანადირო“ ან „შებოლილი“, „მოყვარულათვის“ თუ „ჩაისათვის“. ამთავრებენ პავლიონის ფერმრავალ სურათს, კუბატები, კუბატები...

საბჭოთა მეურნეობების, კომმუნურნეთა ბაღჩა-ბაღების მაჯისცემა აქაც იგრძნობა ამ უცნაურ, ერთადერთ მუზეუმში, სადაც ძველი ნაკლებად ფასობს და შემოქმედებას თან ახლავს შემოქმედი.

პავლიონიდან ეზოში გავდივართ, ქალიშვილს ვაფრთხილებ მიწაზე დამდგარ ჭენჭყოს მოერიდოს. ვუსაყვედურებ ბაზრის დირექციასა და სანიტარულ განყოფილებას, სისუფთავე რომ ასე უცხო ხილად აქციეს თბილისის ბაზრებში. მაგრამ განა საყვედური ემარა?!
კასრები, კასრები, კასრები... ნამდვილი ჯონჯონი (და არა აკაციის ყვავილები), მჭავე პამიდორი მწნილ ჩატანებული, კონებად შეკრული გეგუთის პრასა, კიტრი, წიწკა, ჭარხალი, კომბოსტო თეთრი და კომბოსტო წითელი — ზაფხულზე ჩადებული მჭავე, — სუფრის ლაზათი.

ახლა ბაზარი ქუთათური მწვანელითაა სასვე და ის საუკეთესოა რესპუბლიკაში, თუმცა დიდმის, ნავთლულისა და დიდუბის არ ჩამოუვარდება არც სინორჩითა და არც გემოთი. ქინძი, ოხრახუმი, ნიახური, და მრავალი სხვა — ცალ-ცალკე თუ კონებად, ცოცხალი წიწკატი, სამხრეთილი წითელი და თეთრი ბოლოკი...

— ინებებ ბატონო.
იქნებ კვრცხები უნდა ხათუნას, რადგან ჩვენ გადავდივართ რიგზე, სადაც ყუბანურ ქათმებს თიანეთური ეჯობებდა.
არის რჩევა, შევაჭრება და მკლავის დალოცვა. დედლებსა და ინდაურებს გოჭები სცვლის, ცოცხალი თუ დაკლული, გამხვართული, გრძელი და სანსალა გოჭები. მერე ესენი შეიწვევიან, შეწითლდებიან, კანი დაასკდებათ და ტყემალთან ერთად კარგი იქნება.

ჩვენს გვერდით ორი საბარგო მანქანა მოდგა, ერთი კომბოსტოთი, ერთიც კარტოფილით სასვე, საკომმუნურნეო ბაზრობაზე მოდიან უხვი მოსავლის ოსტატები.

კარტოფილის, ხახვის, ბადრიჯანის რიგები. წალკური, თეთრი წყაროს, ბორჩალოს და მანგლისის კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი, — მიტომა ალბათ ამოდენა, უხორკლო, ადვილად გასათლელი და გასაწმენდი.

— ჰო, ლობიო უნდა ვიყიდო, — და ისიც არჩევს. დაბალი ბაღის, მაღალი წითელი, გურული თეთრი, ჭრელი, ბოლოს თეთრზე ჩერდება. ხოლო რადგან ლობიო ნივთი უკეთესია, ჩვენ კაკალს ვეძებთ. დახლზე კაკალია ტომრებით, სვეტზე ქვიშხური ნივრის გალებია გრძელ-გრძელი. ჩვენ წინ ასლ-

ნოდარ ჩხიკი

ფოტო ო.თ. თურქიასი

ე ტ ი უ ღ ი

თენდება. ქუჩაში შემოდის გამჭვირვალე დილა, — სუსხიანი სუფთა ჰაერით. სვეტებზე ელნათურები ქრება, პირველი მანქანები აფრთხობენ დამის მყუდროებას, რეკს ტრამვაის ზარი და ისმის ქარხნის შორეული საყვირები.

მე ვუცდი მანქანის გავლას...

აქ ცეტკინის ქუჩას თებერვლის ქუჩა სჭრის, წუთით ვჩერდები, შემდეგ განვაგრძობ გზას და გავდივარ ტრამვაის ხაზზე, სადაც მე-10 და მე-4 ნომრები უხვევენ კალინინის ქუჩიდან.

ცივა.

კისერზე სველი ფანტელები მაცვივა. საყელოს ვისწორებ და მალლა ვიწვევ. ვგრძნობ ვიდაც მიყურებს. თავს ვაბრუნებ გვერდზე. ქუჩის მეორე მხარეს ჩემი ნაცნობი გოგონა მიდის.

შუა ქუჩიდან უკვე ვემახი. ხათუნა ჩერდება და მელოდება.

— გამარჯობათ, — იყოს, იყოს, არა უშავს, — ვეუბნები მე და ცდილობ არ გაიძროს ხელთათმანი.

— სად მიდიხარ ამ დილაადრიან?

— ბაზარში, — ცოტა არ იყოს უხერხულად მიბასუსხა და სახე შეუფაკლდა.

— შენ?

— მეც.

— ოჰო, ოჯახის კაცი ხარ? — ელიმება, ბაგეებს აპობს და ლამაზ კბილებს აჩენს.

ყვითელი ტყავის საბაზრო ჩანთა უჭირავს ხელში, წინ და უკან აქანავებს. ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ალტყინებით იცინის. მერე ყვება ახლად წაკითხული წიგნების შესახებ, მოხვს ვუშვოვო ნიკო ლორთქიფანიძისა და ჟიულ რენარის ნოველები, უკვე აქვს რაჯის ბეგრი სურათი და თუ მივალ „ავარას“ მომასმენინებს.

ჩვენ შევდივართ ბაზრის დახურულ პავლიონში. სუფთად, საქმის ცოდნით ოთხში ამოღებული საქონლის თეთრი ხორცი ავებს ერთ მწკრივს.

ყასბები გამალებით ლესავენ დიდ და პატარა კრიალა დანებს, გთავაზობენ სახაშეს და სატოლმეს, ღორის თავსა თუ სუკებს. იქით ძროხებია ჩამოკიდებული.

— აბა ინებებ კარგი საწვენე კერძისათვის.

— კატლეტისათვის, რბილი, თავისივე ქონით.

— სამწვადე? — აგერ პირდაპირ მიბრძანდით.

არის ფუსფუსი, ხმამაღალი გადაძახილი, დგას ახლად დაკლული საქონლის სუნი და ირევა მყიდველი.

ხორცის განყოფილებას რძის ნაწარმი სცვლის. ხათუნას ყველის ყიდვა უნდა. მე ვუსასიათებ და ვუქებ თუმურ გულის ყველს, თავლის ფიჭასავით რომაა დასვრეტილი და მომწვანო ფერი გადაჰკრავს. აი ბოგდანოვიცა, ყვითელი...

— ცარიელი ერბოა, რამდენი მოგართავა.

მაგრამ ხათუნას იმერული უნდა, სახაჭაპურედ.



გაზრდა ბიჭია, კახური ქული ხურავს, ქოჩორის რომ ვერ უშვალავს, მთელი სახით უღიმის ხათუნას, წამლაუწუმ იორთქლავს ხელებს და სქელ წარბებს ათამაშებს.

— საქორწილო კაკალია, დაოჯან, საქორწილო, — და თვალს მიკრავს.

ახლა ხათუნას ქართულ კაკალზე ვუყვები, ვუქებ კასპის კაკლებს, სამთავისისა და ქვემოქალისას, არც ოძელთა კაკლებია ნაკლები, ქსნის ერისთავის ყოფილ ეპოში რომ დგანან. და სადღა არ არის: იმერეთსა თუ გურიაში, მესხეთსა თუ რაჭაში, კახეთსა თუ სანჯილოს, — მსხვილ-მსხვილი, თეთრი, ზეთიანი და თხელკანა.

— ფქვილი სადაურია, დეიდა?



ღვანკითისა, ბორითისა, აგარული, მუხრანული ან იქნებ საჩხერისა გირჩევნიანთ ვაცრილი სამჭადედ, დაღერლილი ღომისათვის. მაგრამ ხათუნა ჭალადიდისას არჩევს — ყვითელს.

ზოგს იმერული ჩურჩხელა უყვარს წყვილა, ორჯერ ამოვლებული, გათეთრებული თხილის კაკლისა. ზოგს კახური ცაღვა, სქელი რომაა, ყურძნის ჩამონისა, — კაცია და გუნება. ტკბილი კვერი, ბისი კვერი, ქლიავისა და ტყემლისა, ხილად თუ საკმაზად, — ყველა კარგია — ამბობს მყიდველი და შლიაპას ისწორებს, სათვალის ზემოდან ესალმება ნაცნობ კოლმეურნეს, თანასოფელსა და მეზობელს.

„და, რა კარგია ჩემი სოფელი...“ — ღიღინებს ხათუნი.

ვინ წამოსულა ბაზრიდან უხილოდ, ჩვენ რომ წამოვსულიყავით. ხილის რიგებს ავეყვით. არც ერთი გამყიდველი თავის „საქონელს“ არ უყურებს. მყიდველებს ათვალეობს, უკვირდება, ვინ ისე კითხულობს ცნობისათვის, ვინ მხოლოდ მზერით ტკბება. შეჩერებისთანავე შეგთავაზებს და შეგიქებს.

თუ კომში საჭმელად გიყვარს, ხომ კარგი, თუ არა და სუფრას ისეთ სურნელებას აძლევს, ფასალად ღირს.

განჯური ტკბილი, მსხვილმარცვლა ბროწეულები პირამიდებდა დაუწყვიტა, მარჯვნივ თურაშაული ვაშლებია, ახალციხური, მარცხნივ ნაცარა, პირდაპირ „ანტონოვკა“, „ბროდსკი“...

ხათუნა კოლხურ ხურმას ყიდულობს, მანდარინს, ფორთოხალს, — მე ქალაღის პარკები მომაქვს და გულაბს ვარჩევ.

აგერ გოგონების გორა დგას, — გაგიჭირდება ხელში აწევა.

სვეტზე ახლა ლეღვის ჩირები ჰკიდა, — ძეხვივით მრგვალი. შავქლიავის, ჭანჭურის, ვაშლისა და ატმის ჩირი ხელზე კრიალოსანვივთ აქვს წამოცმული ხანდაზმულ ქალს.

ტირფის წკნელით ნაქსოვ კალათიდან ყურძენი იცქირება, გეგონება ახლა დაუტრფივით.

აკილოები, კახურად აჭრლი. რეაქტიონის ან



ბუღუმური, იმერული კრახუნა და ცოლიკაური და ბოლოს ჩხავერიც კი.

ვილაცას ცარიელი ღვინის კასრი ეჭირა ხელში, მიდიოდა, მიარახუნებდა, ეტყობა საცობი შიგ იყო ჩარჩენილი.

— ალბათ საბურთალოზე მიდის, — ვამბობ მე, რადგან ღვინოცა და არაყიც მხოლოდ საბურთალოზე იყიდება. სახელდახლოდ შემწვარი მწვადები და შოთი ბურბებიც იქვეა, ბლომად.

ხათუნა შემობრუნდა, ეტყობა ვეღარ მოითმინა და მეკითხება:

— შენ რა, საგანგებოდ ხომ არ გისწავლია ჩვენი ბაზრები?

— ეტიუდი უნდა დავწერო, — ვასუსობ მე და ცოცხალ თევზს და მოხარულ ხრამულს ვათვალევრებ.

გამოვდივართ ბაზრიდან. ცეტინის ქუჩას მოვყვებით უკან, იქ სადაც კალინინის ქუჩიდან ჩამომავალი ტრამვაი უხვევს, ხათუნას გემწვიდობები. დაპირებას მასხენებს, მე თავისუფალი მარჯვენა ხელით ქულს ვუხდი და სახლისკენ მივდივარ.

წერების ფაბრიკა

3. სახარბი

ბათუმის მახლობლად შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ციხისძირის სახელმწიფო საწარმის ნერგების ფაბრიკას უწოდებენ.

აგრონომი შალვა ორაგველიძე და ამ საწარმის სხვა მოწინავე ადამიანები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მონაწილენი არიან. ციხისძირის საწარმე ერთადერთია ჩვენს რესპუბლიკაში, რომელსაც ორასზე მეტ სხვადასხვა დეკორაციულ მცენარესთან ერთად ქართული ჯიშის ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ნერგები გამოჰყავს.

აკოცა ათასი ძირი სტანდარტული ნერგის ნაცვალად, ჰექტარიდან ოცდარვა ათასი ძირი მიიღეს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოძვე რესპუბლიკებსა და დანავლეთ საქართველოს მეცნიერულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე გაცემულია ას ოცდაექვსი ძირი ჯანსაღი ნერგი. მარტო ციტრუსთა ნერგის რეალიზაციის გზით საწარმე ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო.

— ეს ხომ თქვენი საწარმის ძირითადი დარგი არ არის? — შეგვიკითხეთ დირექტორს, აგრონომ ალექსანდრე ჯიჟიშვილს.

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძირითად საშუალოდ დეკორაციული მცენარეების გამოყვანა და მისი მასობრივი გამრავლება ითვლება.

საწარგეში ხდება ახალი ჯიშების შესწავლა და შავი ზღვის სანაპიროს თბილი და ტენიანი ჰავისათვის დამახასიათებელი მცენარეების ათვისება, გავრცელება, აგროტექნიკის შესწავლა.

საუბარში გართულნი, შეუმჩნევლად

მივუახლოვდით ნაკვეთს, სადაც გაშენებულია ძვირფასი დეკორაციული მცენარე „ტურპანი“, აგრონომი შალვა ორაგველიძე საწარმის მუშებს ამ მცენარის მოვლის თავისებურებას უხსნიდა.

— წელს ათასი ძირი გამოვიყვანეთ. მომავალში კი ორჯერ და სამჯერ გავზრდით ამ ციფრს, — აგვისონა შალვამ.

ოცდათერთმეტი ჰექტარი უჭირავს ციხისძირის სახელმწიფო საწარმის. ათი ათასი ძირი „ფინიკის“, „ქიქოსის“, „რუბლინას“, „პომეროსის“, „პირიჩარდას“ და „საბელის“ ჯიშის პალმის ნერგი გაგზავნის წელს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში. მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის და შორეულ აღმოსავლეთის მრავალი ქალაქის გასამწვანებლად.

მშრომელთა წერილები და განცხადებები ყოველდღიურად მოდის სახელმწიფო საწარმის დირექტორის სახელზე. პასუხთან ერთად ამ წერილთა ავტორები ღებულბობენ საწარმის მუშაკთა მიერ მზრუნველობით გამოზრდილ, სათუთად შეფუთულ ამანათს. რკინიგზის ჩაქვის სადგურის ბაქანზე ყოველდღიურად იხილავენ რადენიმე ასეთ ამანათს, სხვადასხვა მისამართით იგზავნება ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის ნერგები. ვარდუვანები: „კანა“, „გლადიოროუსი“, „გიორგინი“, „ფლოქსები“, „ახტანები“, „ურლისბრენერი“, „დრუშკი“, „მანანკოშე“, „კაზარინა“ და სხვა. ამანათთან ერთად ადრესატი ღებულბობს აგრონომის რჩევა-დარჩევას ამა თუ იმ კულტურის მოვლის შესახებ.

ამ საწარმეში მუშაობს მეზადე ანა ბაბოშკო. მან სახელი გაითქვა, რო-

გორც საუკეთესო მუშობელმა. მუშობის დღეურ ნორმებს იგი 200 პროცენტით ასრულებს. გასულ წელს მან ოცდაექვსი ათასი ძირი ლიმონი დაამუშაო. აქედან, 99 პროცენტმა შესანიშნავად იხარა. ეს იწვევით მოვლენა მეციტრუსე მუშობელთა შორის. სწორედ ამ სასახელო მაჩვენებლით წარსდება ანა სასოფლო-სამეურნეო გამოყენებაზე. მან თავისი მდიდარი გამოცდილება გაუზიარა ციტრუსოვანი კულტურების გაშენებით დაინტერესებულ მოძმე რესპუბლიკეის კოლმეურნეობებს, საწარმეებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშებს.

— ჩემი წარმატების საიდუმლოება, — უამბობდა ბაბოშკო საწარმის მუშებს გამოყენიდან დაბრუნების შემდეგ, — იმაში მდგომარეობს, რომ ვუყენებ აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს. თვითულ საძირეს და კალამს გულმოდგინედ ვარჩევ და მათ

თი ურთიერთ ზუსტი დამყნით ვაღწევ წარმატებას.

ძნელია ჩამოვთვალოთ ორასი ათასი მცენარე და მათ მოვლას დაუფლებულ ადამიანთა სასახელო საქმეები, — ციხისძირის სახელმწიფო საწარმის შრომისმოყვარე კოლექტივმა მარტო გასულ წელს ორ მილიონამდე ძირი სხვადასხვა დეკორაციული მცენარე გაზარდა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სსრ კავშირის შორეულ ქალაქებში გაგზავნა, ბულვარებისა და სკვერების, აგრეთვე, საბჭოთა ადამიანების ბინების დასამწვინებლად.

საწარმის კოლექტივის თავისი წვლილი შეაქვს სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში. ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ჯანსაღი ნერგის გამოყვანით იგი ხელს უწყობს სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომ აღმავლობას ჩვენს დიდ სამშობლოში.



შექსიარის ზეგდების სავსება

მიმდინარე წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო უდიდესი შექსიარის ტრადიციის მარტოაშენი თარგმანის სამოქმედო, გ. გაჩეილაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

გამოცემის წინასიტყვაობაში მოცემულია შექსიარის ბიოგრაფიის მიმოხილვა და მისი შემოქმედებითი ევოლუციის მოკლე ანალიზი. კონკრეტულად არის ნაჩვენები, თუ რატომ არის შექსიარის სხე ცოცხალი და ამაღლებული თანამედროვე მკითხველისათვის.

გ. გაჩეილაძე ხაზს უსვამს შექსიარის შემოქმედების ხალხურ ხასიათს და მართებულად განიხილავს მისი შემოქმედების ხალხურობის პრობლემას. როგორც წინასიტყვაობაში მართებულად არის აღნიშნული, ივ. მაჩაბლის არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა: დიდი ქართველ საზოგადო მოღვაწეს იზიდავდა არა მარტო შექსიარის გენიალური შემოქმედება თავისთავად აღებული, არამედ ის დიდი და მტკივნეული ზოგადსაზოგადოებრივი პრობლემები, რომელიც შექსიარის შემოქმედებაშია დამატებული და ეხმარებოდა საქართველოს მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას, უპასუხებდა თვით ივანე მაჩაბლის მსოფლგაგებასაც, ხოლო ამ პრობლემათა შექსიარისეული გადაჭრის გზები და ხერხები შეესაბამებოდა მაჩაბლის შემოქმედებით განცდას.

შექსიარის ტრადიციით ქართული თარგმანების სამტომეული ნაწარმოებები დალაგებულია იმ ქრონოლოგიური თანამდებობის მიხედვით, როგორც ისინი დაწერა შექსიარმა, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს გავიხსნოს შექსიარის შემოქმედებით ევოლუციას.

წინასიტყვაობაში განხილულია მაჩაბლის ლექსის გენეზისი, მისი მთარგმნელობითი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ხერხები და აგრეთვე მისი თეატრალური ინტერპრეტაციის საკითხი. საგნებთ სწორია ავტორის დებულება, რომ მაჩაბლის შემოქმედებითი მეთოდი და მისი მეტყველებერეალობის ტერმინი, ხალხურია და მისი თარგმანების სცენური განხორციელება არათუ არ მოითხოვს, არამედ სრულიად გამორიცხავს ყალბ პათოსს.

სამტომეულისათვის დართული შენიშვნები განმარტავს ერთი მხრივ შექსიარისეული დედის ტექსტს, მეორე მხრივ მაჩაბლის თარგმანის ტექსტს და ხერხებს და მიმართულია იქითვე, რომ ფართო მკითხველს მისცეს, რაც შეიძლება სრული წარმოდგენა როგორც შექსიარის ეპოქაზე და მის ხელოვნებაზე, ასევე მაჩაბლის მთარგმნელობითი ოსტატობაზე. შექსიარის ტექსტის განმარტების მიზნით

შენიშვნებში ახსნილია ისტორიული და მითოლოგიური ტერმინები, ცნობები და მოვლენები, რომელთაც სწორად მიმართავდა შექსიარი, ახსნილია აგრეთვე შექსიარისათვის დამახასიათებელი ანექდატები და ლაფსუსები, ძნელად ამოსაკითხავი ადგილები (იდიომები, ომონიმები, ბუნდოვანად მიჩნეული სახეები), მისი სტილის თავისებურებანი, ხოლო შენიშვნებს წინ წამდგარბულ მოკლე ისტორიულ ექსკურსში საინტერესოდ და თითქმის ამომწურავად არის მოცემული ისტორიული ცნობები პიესებისა და მათი გმირების შესახებ.

განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია შენიშვნების ის ნაწილი, რომელიც მკითხველს აცნობს მაჩაბლის თარგმანის ისტორიას — მის შემწვას, გამოქვეყნებას, შემდგომ გამოცემებს, მაჩაბლის თარგმანისათვის დამახასიათებელ ხერხებს, რომლებიც სათანადოდ არის ილუსტრირებული, თარგმანში არსებულ ბუნდოვან ადგილებს და ლაფსუსებს, რომლებიც, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის დაშვებული. ზოგ შემთხვევაში გ. გაჩეილაძის მართებულად მიუცია თავის თავისათვის უფლები უმნიშვნელოდ შეესწორებინა მაჩაბლის თარგმანი და ამით გამოეწირობინა აშკარა ლაფსუსი, როგორცაა მაგალითად ოტელოს მეხუთე მოქმედების პირველ სურათში შეტანილი შესწორება (ტ. II, გვ. 448-449).

ყოველივე ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ ივ. მაჩაბლის თარგმანით ახალ გამოცემაში დართული ექსკურსი თვით ივ. მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცოტად თუ ბევრად ამომწურავი ნარკვევი.

სამტომეულში, მართალია შედარებით მცირე რაოდენობის, მაგრამ მაინც მოიპოვება კორექტურული შეცდომები, რომელთა თავიდან აცილება სასურველი იყო.

შექსიარის ნაწარმოებთა მაჩაბლისეული თარგმანების სამტომეულის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ქართულ ენაზე გამოცემის საქმეში. ეს გამოცემა იმითაც განსვავდება შექსიარის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე არსებულ ყველა გამოცემისაგან, რომ მასში არა მარტო უზღვევდა არის რეპროდუქტირებული მაჩაბლის ტექსტი, არამედ მას დართული აქვს კარგად შედგენილი მეცნიერული აპარატი. სასურველი იქნებოდა, რომ ამ სახით გამოცემულიყო შექსიარის ნაწარმოებთა სრული კრებული და საერთოდ მსოფლიო ლიტერატურის სხვა ცნობილ კლასიკოსთა ნაწარმოებნი.

დ. ლაშპარაძე

ე თ ე რ ი ა ნ ი

(ეთერიანის ვერსიების გამოქვეყნების გამო)

ეთერიანის სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსის ქართულ ფოლკლორში თავისი მნიშვნელობით ამირანის ეპოსი თუ შეიძლება ითქვას, რომ მისი კლასიკური ნიმუში, რომელიც თანამედროვე მკითხველს გვერდში მსოფლიოში გაგრძელებულ ამავე ჯანის სხვა რომელიმე ზღაპარულ-რომანტიკულ თქმულებას. ეთერიანის ანუ „აბესალომ და ეთერი“ დიდი სოციალური მოთხრობაა, საუკუნეთა მანძილზე რომ ინარჩუნებს მიმოზღველობას სიუჟეტის კომპოზიციური ღირსებებით, დახვეწილი ეპიკური სახეებით და მდიდარი პოეტური ენით.

ეთერიანი მეცნიერულად დღემდის შეუწყვავლია. აქამდის არ ვიცნობთ არ თან უკვლავ ვერსიას, არ იყო მთლიანად შეკრებილი მასალა, არავის უცლიდა თქმულების ტექსტოლოგიური დაცვანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ვარიანტების გათვალისწინებით.

ეთერიანის ტექსტი პირველად ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა პეტრე უმიკაშვილის წყალობით. უმიკაშვილის ხელთა ჰქონია 13 ჩანაწერი, რომლებიც ერთ მთლიან მოთხრობად გადაუშუშაგებია. ამ სახით წიგნი გამოვიდა 1875 წელს. ეს შერწყმული ვარიანტი ეყრდნობა ქართულ, კახურ, იმერულ, მესხურ, ხევსურულ, მოხურ და მოზღლოურ ვერსიებს. უმიკაშვილისეულმა გამოცემამ ეთერიანის მიმართ დიდი ინტერესი აღძრა ქართველ ფოლკლორისტთა წრეებში. აქედან მოყოლებული სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენს ყურნალ-გაზეთებში სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ვარიანტები.

ეს თქმულება დაედო საფუძვლად ფლიავილის უკვდავ ოპერას — „აბესალომ და ეთერი“ (მირიანაშვილის მიერ გალექსილი ტექსტი).

ამამად მკვლევართა განკარგულებათა თქმულების 50-მდის ვერსია.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა ახლახან მის. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით გამოცა ეთერიანის ყველა არსებული ვარიანტი — როგორც გამოქვეყნებული ტექსტები, ისე თბილისის არქივებსა და მუზეუმებში დაცული ჩანაწერები („ხალხური სიტყვიერება“, IV).

წიგნი მოქცეულია ეთერიანის თქმულების ქართული, კახური, მესხური, თუშური, იმერული, გურული და რაჭული ვერსიებით. აქვე ვხვდებით ვაჟა-ფშაველას „ეთერის“ თუშურ-ხალხურ ვარიანტსაც. წარმოდგენილია მთლიანად უმიკაშვილისეული შერწყმული ვარიანტი (ზემოხსენებული პირველი გამოცემა თქმულებისა).

რომელი ეპოქის ნაწარმოებია ეთერიანი?

მართალია, თქმულებაში შესულია ბოლოდროინდელი, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დამახასიათებელი მომენტები, მაგრამ ცალკე ეპიზოდების სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით განხილვა ცხადყოფს, თუ რომელია უფრო ძველი და რომელი ახალი. ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, მურმანი აბესალომის ყმა არის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მურმანი გამაგრებულია ფეოდალურ ციხესიმაგრეში, ციხის მფლობელია, უნდა ვიფიქროთ, იგი უზრალე ყმა ჰქონდა არის, არამედ ვასალია, უმაღლესი პატრონის ყმა, რომელსაც თავის მხრივ საკუთარი ხელქვეითები ჰყავს ციხის მცველებისა და მოლაშქრეთა სახით. ეს კი იმას მოწმობს, რომ აბესალომსა და მურმანს შორის პატრონყმური ურთიერთობაა. საფიქრებელია, აბესალომ და ეთერის თქმულება თავისი არსებით ნაწილში შუა საუკუნეების კლასიკური პერიოდის ნაწარმოებია. მ. ჩიქოვანის ეს დასკვნა გასაზიარებელი ჩანს.

ეთერიანი მდიდარია პერსონაჟებით. მათ შორის ცენტრალური გმირებია აბესალომი და ეთერი. აბესალომი რომანტიკული ეპოსის ძირითადი ფიგურაა. მას, როგორც ვატაველზე მიჯნურს, ლიტერატურაში ტაროელი შეედრება, ოღონდ აბესალომს სიფარული არა ჰგავს ტარიელის რწინდელ სიყვარულობას: ეთერიანში სიყვარულის კოლიზიები არ ხასიათდება სისხლის ღვრით. აღამიანთა შემფთებით, გარდაქმნებით, ეთერიანის სიყვარული უფრო რომანტიკულია, ვიდრე შუა საუკუნეების რაინდულ ლიტერატურაში ცნობილი მიჯნურებსა. წიგნის რედაქტორი ვრცელად ჩერდება ეთერის დახასიათებაზე. ნათელია, რომ ეთერიც კონკრეტული რეალური სახე შეხვდებოდა ზღაპრულ ეპიზოდებთან. იგი ზოგად, ეპიკურ ფორმას იღებს, გარკვეული საკაცობრიო იდეის მატარებლად გვევლინება. ამის გამო ეთერი ზოგადი და კონკრეტულიც. მ. ჩიქოვანი პარალელს ავლებს ეთერსა და ნესტან-დარეჯან-თიანთის შორის. აბესალომის სამიჯნურო თავგადასავალი ტრაგედიის სახეს იღებს მურმანის მეფეობით. საინტერესოა, რომ მურმანს სხვადასხვა ვარიანტი სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს. იგი ვეწირია, მოურავია, მსახურია, ლაშქრის ასისტანტი, ყმა; ბაზალეთურ ვარიანტში მურმანი აბესალომის მოჯამაგირედაც არის გამოყვანილი. ასეთი სიტყვით იმით ახსენება, რომ „სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სოციალური ფენიდან გამოსულ მთქმულებს არ ჰქონდათ ერთნაირი გაგება მურმანის სახისა და მის ბოროტებას, თუ მოჩვენებით მზრუნველობას ნაირნაირად აფასებდნენ“ (გვ. 31). ჩიქოვანის შესავალ წერილში დახასიათებულა ეთერიანის სხვა პერსონაჟები: დედიაცვალი, უშტარ-ნათელი, კეთილი დედაბერი, და სხვ. წიგნს ეთერის ვრცელი „შენიშვნები“.

შ. ქიძიშვილი

ნიგნი ნიჭიარ მსახიობა

ახლახან „ხელოვნებაში“ გამოცა ალ. ბურთიკაშვილის წიგნი „გიორგი არადელი-იშნელი“.


ავტორი დიდი სიყვარულით და ჩვეული მოწოდებით მოჰყიდა საქმეხი: ბევრი საჭირო მასალა შეუკრფავია, გულმოდგინედ შეუსწავლია და მკითხველისათვის მიმოიღველი სისადავით გადმოუცია.

არადელი-იშნელია ქართულ სცენაზე მეტოქრავით გაიღვავა. იგი სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ემსახურა ქართულ თეატრს და საუბლიად ახალგაზრდა, 38 წლის ასაკში დაიფერფლა. მან მაინც მოასწრო წარუშლელი კვალი დაეტოვებინა ქართული თეატრის ისტორიაში.

ავტორი პირველ თავებში კარგად აღწერს გიორგი არადელი-იშნელის ცხოვრებას. იგი თანამიმდევრობად აცნობს მკითხველს მსახიობის ინდივიდუალური მხატვრული სახის ჩამოყალიბების პროცესს, მის პირველ ნაბიჯებს სცენაზე, იმ წრესა და საზოგადოებას, რომელშიც მოქმედებდა და მოღვაწეობდა ეს ნიჭიერი მსახიობი.

მომდევნო თავებში ალ. ბურთიკაშვილი ცდილობს გიორგი არადელი-იშნელი მკითხველს აჩვენოს სცენაზე, დაახლოს მისი განცდები, აგრძნობინოს ის დიდი ნიჭი და უშუალობა, რომლითაც გამოირჩეოდა სახელოვანი შემოქმედით. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება მსახიობის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული როლები: გიგო ტეტიაშვილი (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), ანანია (სუმბათაშვილი-იუფინის „დალატი“), ოსოფრის (ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“), ლოპახინი (ჩხვივის „ალუბლის ბაღი“) და სხვ.

ზოგიერთი შენიშვნა წიგნის ნაკლავანებზე: ავტორი ერთგან აღნიშნავს, რომ „ყოველი ციტატა წიგნს ამძიმებს, ამიტომაც ვერადებოდი გრძელ-გრძელი ამონაწერებით მკითხველის ყურა-



დღების დაღლას“-ო, მაგრამ იგი ბოლომდე ერთგული არ ჩნება თავისივე სიტყვებით. წიგნის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი სწორედ ის არის, რომ იგი ძალზე დატვირთულია გაზეთებთან, წიგნებთან, სხვადასხვა მსახიობების მოგონებებთან ამოკრებული ციტატებით. ავტორს ეს მასალები რომ დაემუშავებინა, ზოგიერთ მიმოზიხველვე უფრო ავტორიტეტული თავისი დასკვნებითა და მხატვრული ანალიზებით შეეცვალა და მკითხველისთვის ისე მიეწოდებინა, წიგნი ვაცილებით მეტს მოიგებდა.

წიგნი ვხვდებით კორექტურულ შეცდომებსაც.


წიგნი კარგად აცნობს მკითხველს ქართული თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობის გიორგი არადელი-იშნელის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

გ. მდებრიშვილი

ბერლინის საჰადრაკო კავების ხშირი სტუმარი იყო. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა დადანი პარიზის ჰადრაკის მოყვარულთა კავშირში „დერეჟანსში“, სადაც ოდესღაც ჰადრაკის სათამაშოდ დიდრო, ვოლტერი, რუსო, ნაპოლეონი, ალფრედ დე მუსე და სხვა გამოჩენილი ადამიანები დადიოდნენ. ამ კავშირში დადანი ხშირად გამოდის ცნობილ მოჰადრაკეთა პარტიების გარჩევა-კომენტარებით, აქვე 1879 წელს დადანი მატჩში შეხვდა გროსმაისტერ როზენტალს. ამ შეხვედრას გაზეთმა „დრობამ“ სპეციალური კორესპონდენცია მიუძღვნა. შემდეგ წელს, რომში, იგი მატჩს ეთამაშება ოსტატ დიუბუას, ხოლო 1888 წ. დადანი თბილისში ჩამოდის და ადვილად ამარცხებს აქაურ მოჰადრაკეებს. 90-იან წლებში ა. დადანი სამუდამოდ კიევში სახლდება და აქტიურად მონაწილეობს უკრაინულ ოსტატთა საჰადრაკო ცხოვრებაში. მაგრამ მისი ცხოვრების ეს პერიოდი ნაკლებადან შესწავლილი. ასევე შეუსწავლელი და დაუმუშავებელია მთელი მისი საჰადრაკო მემკვიდრეობა.

ა. დადანის პარტიების უბრალო მიმოხილვებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი სავესტით იზიარებდა სახელგანთი რუსი გროსმაისტერის მ. ჩიგორინის პროგრესულ შეხედულებებს და ჰადრაკში შემოქმედებითი ბრძოლის მომხრე იყო. მის სტიქიას გაბედული შეწირვა, იერიში, მოულოდნელი თავდასხმა და კომპოზიციური დახვეწილობა წარმოადგენდა. ამის მაგალითია მარაბელთან ნათამაშები პარტია.

მარაბელი



დადანი

განხილული პარტიის მაღალმატერული დაბოლოება, ისევე, როგორც ბევრი სხვა მისი პარტია ნათლად მეტყველებს დადანის მძაფრ კომბინაციურ ნიჭზე და შორს გამიზნული ჩანაფიქრის სიცხადეზე, როგორც მისი თამაშის სტი-

1. კ : h 6! მ : d 5
2. გ : d 5 ლ : d 5
3. კ : g 7! ლ c 6
4. ლ f 5 კ e 5+
5. ხ e მ g : g 7
6. მ h 5 + მ g h 6
7. მ f 6 ლ e 5 +
8. მ g h 2 გ h 8
9. მ g 8 + გ h : g 8
10. ლ h 5 + მ g g 7
11. ე : f 7 X

ლის მოუცილებელ ნიშნებზე. 80-იან წლებში რიგის საჰადრაკო ჟურნალი ერთ-ერთი ლატვიელი მოჰადრაკის აქტიურ თამაშზე სწერდა: „დადანი სტილით თამაშობს“, და ამით აქებდა თავის თანამემამულეს. კომბინაციურ თამაშის ამ ვირტუოზისთვის არც მშვიდი პოზიციური თამაში იყო უცხო. გეგმიანად, ფიგურების მოფიქრებული გადაჯგუფებით, პოზიციური მუხრუჭების შემოჭრით იგი „სწურავდა“ მოწინააღმდეგის პოზიციას და ბოლოს და ბოლოს აიძულებდა ფარხმალი დაეყარა. ასევე ძლიერი იყო ა. დადანი ენდშილში. ამის ნათელი მაგალითია კიევში მოჰადრაკეებთან და იტალიელ ოსტატ დიუბუასთან მოგებული პარტია.

ა. დადანი კარგად ფლობდა სადებიუტო ხელოვნებასაც და ზოგიერთ მთვანეში საკუთარი გაგრძელებებიც კი შეჰქონდა. იგი არც საჰადრაკო კომპოზიციას იფიქრებდა: ცნობილია საბერძნეთის დელოფლისადმი მიძღვნილი საჰადრაკო ეტიუდი, რომელიც ინგლისურ ჟურნალში გამოქვეყნდა.


1903 წელს ა. დადანი კიევში ფრანგულ ენაზე სცემს თავის რჩეული პარტიების წიგნს, რომლის რედაქტორიც გამოჩენილი რუსი მოჰადრაკე ე. შიფერსი იყო. რუს მოჰადრაკეებთან შემოქმედებითი ურთიერთობა მას არც შემდეგ წლებში შეუწყვეტია და სიკვდილის ბოლო დღეებამდე ჰადრაკში ჩიგორინის მოწინავე იდეების დამცველად გამოდიოდა.

დადანის, როგორც ცნობილი მოჰადრაკის ავტორიტეტს ხშირად იყენებდნენ საერთაშორისო ტურნირების მოწყობისას და ა. დადანს ტურნირების პრეზიდენტად იწვევდნენ. 1903 წ. დადანი მონტე-კარლოში გამართულ საერთაშორისო შეხვედრის პრეზიდენცია და საკუთარი თაოსნობით სპეციალურ პრიზს ნიშნავს ულამაზესი პარტიისთვის. ეს პარტია შემდეგ დადანის კომენტარებით რუსულმა ჟურნალმა „Шахматное обозрение“-მ გამოაქვეყნა.

საჰადრაკო ასპარეზზე თავისი 30 წლის მოღვაწეობის მანძილზე ა. დადანი თავდადებულად იბრძოდა ჰადრაკში პროგრესულ შეხედულებათა გატარებისათვის. მისიწრაფობა რა დინამიკური, კონკრეტული ვარიანტებით აღსავსე პოზიციებისაკენ, დადანი ჰგომობდა სტიინიცის სკოლის აბსტრაქტულობასა და დოგმატიზმს.

ა. დადანი გასული საუკუნის რუსული საჰადრაკო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

კ რ ო ს ვ ო რ დ ი




- პ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ :**
3. მდინარე ინგლისში. 5. ქიმიურ ლაბორატორიაში სახმარი ჭურჭელი. 8. გრაფიკის სახეობა. 10. შემუშავებული წესი. 11. სახელმწიფოს ძირითადი კანონი. 13. პიკინური დაწესებულება. 14. გასული საუკუნის ქართული ჟურნალი. 15. ინდური ხალხური საკრავი. 17. ანტიკური მწერალი. 18. კანის სნეულება. 19. ძირნაყოფა მცენარე. 20. ლიტერატურის ერთ-ერთი დარგი. 24. ბერძნული მითოლოგიური გმირი. 25. სწორი, უხორკლო, სრიალა ზედაპირი. 26. მწვავე სიცივე. 28. მოძვე რესპუბლიკა. 31. საზოგადოებიდან გარიცხვა, გაძევება. 32. საქმის წამომწყები. 33. დამკვიდრებული ჩვეულება. 34. ტრანსპორტის ქარავანი.

- ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ :**
1. პაერის მეცნიერული შესწავლა. 2. სიტყვების შემოკლებით წერა. 4. მოწითალო თიხა. 5. ქიმიური ელემენტი. 6. კალმანის ოპერეტა. 7. განვითარების ერთ-ერთი საფეხური. 9. ნაწარმოების შემთხვევითი, შემქმნელი. 10. დაძველებული წესების დაცვა. 11. რჩევა-დარიგება. 12. სამეცნიერო წოდება. 15. თეთრი სინათლის შემადგენელ ნაწილებად დაშლა. 16. სახელმწიფო ევროპაში. 19. მოაჯირი აივანზე. 21. ბერძენი ფილოსოფოსი. 22. ასო ბერძნულ ალფაბეტში. 23. ზღვის ადგილსუცვლელი ცხოველი. 25. სახელმწიფოს სიმბოლიური ნიშანი. 27. ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება ინდურ მითოლოგიაში. 29. დიდი ვენახი. 30. ერი, ეროვნება.

„დროის“ № 12-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

- პ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ :**
1. ლობია, 5. სენა, 7. კაიზო, 8. აირი, 12. ტაზო, 13. კალა, 14. ჭავლი, 15. დანია, 17. ბოგანო, 18. ვარძია, 20. იურა, 21. ინაბი, 23. ვანი, 24. ნალია, 20. ჩარხი, 27. დიუმა, 30. მანია, 33. ფასტი, 34. ლილევი, 36. უჯარამ, 37. არაგვი, 38. კასტილია, 41. სარდინია, 44. ხივა, 45. აპკი, 46. შორი, 47. ნანა, 52. ანთიმონი, 57. აბოვიანი, 59. ნიანგი, 60. მაროკო, 62. ოვალი, 64. ნანტი, 66. ომეგა, 68. ალიბი, 71. დენთი, 73. ურანი, 75. ჯარა, 76. მაინა, 78. ინდი, 80. იალადი, 82. საირმე, 84. ირანი, 85. ბორლო, 86. არყი, 87. დასი, 88. აბიო, 89. ურიკა, 91. სიტე, 92. ამირა.

- ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ :**
1. ლინკოლნი, 2. ბუზა, 3. არეოპაგი, 4. ლაზო, 5. სოსანი, 6. ნაგოი, 9. ივავი, 10. იკორთა, 11. ალტი, 14. ჭარბი, 16. აბატი, 17. ბონი, 19. არია, 22. აქვა, 25. აისი, 27. დიუნე, 28. უზანგი, 29. არმია, 30. მართა, 31. ნავანი, 32. ალიზი, 33. ფიალა, 35. იგორი, 38. კონტა, 39. ტრაპი, 40. ალანი, 41. ხროლა, 42. იანკი, 43. ასასი, 48. ნორიო, 49. სავანე, 50. კოტონი, 51. კორტი, 53. კანიო, 54. გავრა, 55. დრაგა, 56. ოზონი, 58. რაბი, 61. ანკუ, 63. ტენი, 65. ალი, 67. მურეი, 69. ბანჯო, 70. ბიზე, 72. თრაკი, 74. რაინდი, 75. ჯიხვი, 76. მანჯურია, 77. ანომალია, 79. ისანი, 81. აფრა, 83. მუსა, 90. იოვი.



მხატვარი გ. ფირცხალავა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვიჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ნ. ჩერნიშკოვა

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91. ტელ. 8-95-88. | უსანი 3 მან. | გარეკანი დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში, ჩანართი გვერდები — ფოტოცენკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/1-55 წ. გამომც. № 296. ქალ. ზომა 70x108¹/₈. ნაბეჭდი ფურც. 3¹/₂. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 883. უფ. 00520.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ქართული
ბიბლიოთეკა

გასწორება: გარეკანის მესამე გვერდის წარწერა უნდა
იკითხებოდეს: რუსთავი. ბრძმედის საერთო ხელი.

8816345



ეროვნული
ბიბლიოთეკა

